საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდ-ვუნი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 24 იანვარი. 2019 წ. №15 (8681) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

აკი, კერძო ბიზნესი ხელშეუხებელიაო?! 4

ნუ ანარქიზებ საქართველოში!

20-თეთრიან „ზარალს“ შეწირული ათობით ათასი ლარი

ვაჟა ბერიძე: 2020 წელს „ქართული ოცნების“ მმართველობა შესაძლოა, კრიმინალს შეეწიროს 2

საქართველოში მდიდართა შემოსავალი 17-ჯერ აღემატება ღარიბთა შემოსავლებს 7

„მაოხრებელი გზირი“ და ბრუკლინ-ბრიუსელის რევოლუციური კაკაფონია! 6

დათო ევგენიძე: „ეს ლექსები და ეს მუსიკა მე არ მეკუთვნის, მათ ვილაც თხზავს და უკვე მზას მიგზავნის“ 8

პირველი შეხვედრა სტოლტენბერგთან

გუშინ საღამოს საქართველოს პრეზიდენტი ნატოს გენერალურ მდივანს იენს სტოლტენბერგს შეხვდა.

შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტის ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში გაიმართა. ზურაბიშვილი სტოლტენბერგს პირველად შეხვდა, რის შემდეგაც ერთობლივი განცხადებებიც გაკეთდა.

დღის წესრიგშია ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარება

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, ბრიუსელში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელ ფედერიკა მოგერინის შეხვდა.

სალომე ზურაბიშვილისა და ფედერიკა მოგერინის საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები იყო. აღსანიშნავია, რომ შეხვედრაზე ფედერიკა მოგერინიმ ხაზი გაუსვა იმას, რომ საქართველო კვლავ რჩება ევროკავშირის დღის წესრიგში და ის მოხარულია, რომ საქართველოს პრეზიდენტის პირველი ვიზიტი ბრიუსელშია.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი პირველი სამუშაო ვიზიტით ბრიუსელს 21 იანვარს ეწვია და უკვე გამართა შეხვედრები: ევროკომისარ იოჰანეს ჰანთან, ევროკომისიის პრეზიდენტ ჟან-კლოდ იუნკერთან, ევროკომისარ დიმიტრის ავრამოპულოსთან, ევროპული საბჭოს პრეზიდენტ დონალდ ტუსკთან, ევროპარლამენტარებთან, რომელთა შორის იყვნენ: ანა გომეში, კლერ მუდი, საჯად კარიმი, ეიდი ჰაუტალა, მაიკლ გალერი.

მამუკა ბახტაძე: ჩვენი ისტორიული ფესვები და ჩვენი მომავალიც ევროპულია

საქართველო წარმოადგენს კარიბჭეს ზღვაზე გასასვლელის არმქონე 8 ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვან რეგიონში, რომელიც მომდევნო წლების განმავლობაში მთელი ევრაზიის კონტინენტის ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა გახდება, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ თემატურ დისკუსიაზე გამოსვლისას განაცხადა. Eurasia in a New Global Context გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა ბიზნესის, ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორებში საქართველოს რეგიონულ ცენტრად ქცევის პოტენციალს.

„ღრმად მწამს, რომ რეგიონის ეკონომიკური პერსპექტივა ნამდვილად ძალიან ნათელი იქნება. თუ რუკას შეხედავთ, რა თქმა უნდა, საქართველო ბუნებრივადაა ბიზნესის, ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორებში რეგიონის ცენტრად ქცევის კანდიდატი. ამიტომ ვახორციელებთ დიდ კაპიტალდაბანდებას ინფრასტრუქტურაში. ჩვენ საკუთარ თავს ევროპიდან აზიამდე გადებულ ხიდად მივიჩნევთ. ჩვენი ისტორიული ფესვები ევროპულია და ჩვენი მომავალიც ევროპულია, თუმცა ამავდროულად საქართველო მდებარეობს ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე. ამიტომ მივიჩნევთ საკუთარ თავს ხიდად“, — განაცხადა პრემიერმა.

კონგრესმა ტრამპს ნატოდან გასვლის გადაწყვეტილების მიღება შეუზღუდა



ამერიკის კონგრესის წარმომადგენლობითმა პალატამ კანონი მიიღო, რომელიც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს მყისიერ მხარდაჭერას უცხადებს.

ამ დოკუმენტის მიღება ნატოდან აშშ-ის გასვლის შესახებ პრეზიდენტ დონალდ ტრამპის იდეას უკავშირდება, წერს CNN.

„უსიამოვნოა, რომ შეერთებული შტატები ალიანსის წინაშე ვალდებულებებთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავ მესიჯებს აჟღერებს, ან მას როგორც ტვირთს განიხილავს“, — განაცხადა წარმომადგენლობითი პალატის საერთაშორისო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ელიოტ ენჟელმა.

ენჟელმა დასძინა, რომ **„იცით რა იქნება ჩემთვის ტვირთი? ის, რომ ამერიკამ ეცადოს საგარეო პოლიტიკა მოკავშირეების გარეშე აწარმოოს, 28 ქვეყნის გარეშე, რომლებიც ჩვენს ფასეულობებს იზიარებენ და ამერიკელ სამხედროებთან ერთად იბრძვიან“.**

კანონპროექტი ამტკიცებს, რომ ამერიკის პოლიტიკა ითვალისწინებს ნატოში დარჩენას, და ზღუდავს სახელმწიფო საშუალებების გამოყენებას ალიანსიდან გასვლასთან დაკავშირებით. კანონპროექტის საბოლოო დამტკიცებისთვის საჭიროა დოკუმენტმა კონგრესის ორი პალატის მხარდაჭერა მოიპოვოს, ამის შემდეგ ის ხელმოსაწერად პრეზიდენტს გადაეგზავნება.

კახა კალაძე: თბილისს საბაგირო ხაზების განვითარების დიდი პოტენციალი აქვს

თბილისის მერის კახა კალაძის გუშინდელი განცხადებით, თბილისს საბაგირო ხაზების განვითარების თვალსაზრისით, დიდი პოტენციალი გააჩნია.

როგორც მან დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, ფრანგული კომპანია „სისტრას“ მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ინვესტირებისთვის განსაკუთრებით, „სამგორი“-ვაზისუბნისა და „ახმეტელის თეატრი“-ზღვისუბნის მარშრუტებია მიმზიდველი.

ვანდალიზმის ფაქტები ხშირია, გავუფრთხილდეთ იმას, რასაც ჩვენივე ვქმნით

დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ ვეტერანთა კულტურისა და დასვენების ბაღში (კიკვიძის პარკი) მიუსაფარი ძაღლებისთვის განკუთვნილი საკვები აპარატის დაზიანების ფაქტს ვანდალიზმი უწოდა.

„რამდენიმე ხნის წინ ქალაქში სპეციალური აპარატები განვათავსეთ, რომლითაც მიუსაფარი ძაღლების გამოკვებაა შესაძლებელი. ამას საკმაოდ დიდი გამოხმაურება და დადებითი შეფასებები მოჰყვა. შეირჩა რამდენიმე ლოკაცია და პირველ ეტაპზე, რადგანაც ეს საპილოტე პროექტი იყო, სამი აპარატი განთავსდა. ერთ-ერთი კი, რომელიც კიკვიძის პარკში დაიდგა, რამდენიმე დღის წინ დაზიანებული და დამტვრეული დაგვხვდა. ძალიან სამწუხარო და საწყენია, როდესაც ასეთი ფაქტები ხდება. ყველანაირად ვცდილობთ, რომ კეთილი საქმეები ვაკეთოთ. რაც მთავარი და მნიშვნელოვანია, ის თანხები, რაც მსგავსი პროექტების განხორციელებისთვის იხარჯება, თითოეული ჩვენგანისგან მიღებული შემოსავალია. ამ ყველაფრის აღდგენაზე ისევ ჩვენი ფული უნდა დაიხარჯოს. ჩემი თხოვნა იქნება, რომ რაც შეიძლება სწრაფად დავიწყოთ კამპანია — „გაუფრთხილდი ქალაქს!“ მსგავს პროექტებში რაც შეიძლება მეტი ადამიანი უნდა ჩაერთოს, რათა მათ ავუხსნათ, რამდენად მნიშვნელოვანია ის ყველაფერი, რაც ქალაქში კეთდება“, — განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა მოადგილეებს, გამგებლებს, საქალაქო სამსახურების უფროსებსა და მუნიციპალიტეტის ყველა თანამშრომელს თხოვნით მიმართა, რომ მუდმივად ხალხის სამსახურში იყვნენ.

სამხედრო დასახლების შიდა ტერიტორიას თბილისის მერია მოაწყობს

თბილისში, სამგორის რაიონში არსებული სამხედრო დასახლების შიდა ტერიტორია, რომელიც თავდაცვის სამინისტროს ბალანსზეა, უახლოეს პერიოდში დედაქალაქის მუნიციპალიტეტს გადაეცემა და მას თბილისის მერია კეთილმოაწყობს, — ამის შესახებ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა.

კახა კალაძემ თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება სამინისტროსთან შეთანხმების საფუძველზე მიიღეს.

დაზარალებულ 40 ოჯახს საცხოვრებელი ფართობები სიმბოლურ ფასად გადაეცემა

ძაძუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის მდებარე მერიის კუთვნილებაში არსებული ცალკეული ფართები პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ 40 ოჯახს გადაეცემა, — ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

— კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული მოსახლეობა საკმაოდ ბევრი გვყავს. მათი რაოდენობა 3000-ს აღემატება. უკვე აღვნიშნეთ, რომ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ეს ადამიანები ფართებით დაკმაყოფილდნენ. სახელმწიფის ეს ვალი აღიარებული აქვს. ჩვენ ვიქნებით ქალაქის ის მთავრობა, რომელიც ამ ადამიანებს აღნიშნულ პრობლემას მოუგვარებს, რომელიც 90-იანი წლებიდან მოდის და საკმაოდ მძიმეა. აღნიშნული მიმართულებთ, კონკრეტული ნაბიჯები უკვე გადაიდგა. დღეს, მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე მერიის საკუთრებაში არსებული ფართების 40 ოჯახისთვის გადაცემის საკითხს განვიხილავთ, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, პირველ ეტაპზე, დაბალი სოციალური ქულების მქონე ოჯახების დაკმაყოფილება მოხდება.

ჩინეთში ავტომობილების ლიდერი მწარმოებლის წარმომადგენლობა საქართველოში

ჩინეთში ავტომობილების ლიდერი მწარმოებელი Guangzhou Automobile Group-ი წლის ბოლომდე საქართველოში წარმომადგენლობას გახსნის, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძისა და კომპანიის ხელმძღვანელის წენგ ცინჰონგის შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი.

წარმომადგენლობის გახსნის შემდეგ, კომპანია ქვეყანაში არსებულ გარემოს შეისწავლის, რის შემდეგაც ინვესტიციის განხორციელებისა და ობიექტების მშენებლობაზე გადაწყვეტილებას მიიღებს. საქართველოს პრემიერ-მინისტრი Guangzhou Automobile Group-ი ს თავმჯდომარეს შეხვედრისას იმ ხელსაყრელ საინვესტიციო კლიმატზე ესაუბრა, რომელსაც ქვეყანა ინვესტორებს სთავაზობს, ასევე გააცნო მთავრობის ინიციატივა, რომლის თანახმად, მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათებით ისარგებლებენ კომპანიები, რომლებიც თავიანთ რეგიონულ წარმომადგენლობებს საქართველოში გახსნიან.

საუბრისას ხაზი გაესვა საქართველოსა და ჩინეთს შორის ურთიერთობების განვითარების პოზიტიურ დინამიკას და გამოითქვა კომპანიასთან წარმატებული თანამშრომლობის იმედი. Guangzhou Automobile Group ჩინეთში ავტომობილების ლიდერი მწარმოებელია, რომელსაც 84 ათასზე მეტი თანამშრომელი ჰყავს. ჯგუფი აწარმოებს სამგზავრო და კომერციულ სატრანსპორტო საშუალებებს, მოტოციკლებს, საავტომობილო ნაწილებს, ასევე, საქმიანობს ფინანსურ და სადაზღვევო სფეროში. კომპანიის საბაზრო კაპიტალის მოცულობა 18 მილიარდ აშშ დოლარს აღემატება.

ვაჟა ბერიძე: 2020 წელს „ქართული ოცნების“ მმართველობა შესაძლოა, კრიმინალს შეეწიროს

საქართველოს უკონტროლო კრიმინალი — ამ შეფასებას ციფრები ყველაზე ზუსტად ადასტურებს: შსს-ს ინფორმაციით, 2018 წლის 11 თვის განმავლობაში (დეკემბრის სტატისტიკა ჯერჯერობით გამოძვეყნებული არ არის) საქართველოში რეგისტრირებული კრიმინალის რაოდენობა რეკორდული ტემპით — 58%-ით გაიზარდა; ჩადენილი დანაშაულის გახსნა კი 20 პროცენტით შემცირდა. ფაქტია, გაზრდილ და გართულებულ კრიმინალს სახელმწიფო ვერ აკონტროლებს.

„კომერსანტმა“ 2010 წლიდან დღემდე არსებული ვითარება დეტალურად შეისწავლა და ახლა ზუსტ ინფორმაციას გაგაცნობთ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაშაულის სტატისტიკის თანახმად, წინა წელთან შედარებით, მხოლოდ სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული 122%-ით გაიზარდა. 2018 წლის 10 თვეში ამ ტიპის დანაშაულის 1900 შემთხვევა მოხდა, რაც წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, 1046 ფაქტით მეტია.

დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით, პირველ ადგილზე საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი კრიმინალური ფაქტებია. 2018 წელს ამ კატეგორიის სულ 22,524 შემთხვევა აღირიცხა, რაც 2017 წელთან შედარებით 81%-ით მეტია.

რაც შეეხება დანაშაულებრივ სტატისტიკას ზოგადად, 2012-2014 წლის მონაცემები „საქსტატში“არ მოიძიება, ხოლო დანარჩენი პერიოდის მდგომარეობა ასე გამოიყურება:

- **2015 წელს აღრიცხულია — 35 096 სისხლის სამართლის დანაშაული,**
- **2016 წელს — 35 997 ათასი ფაქტი;**
- **2017 წელს სულ რეგისტრირებული იყო 37 944 კრიმინალური ფაქტი.**
- **2018 წელს ქვეყნის კრიმინოგენური მდგომარეობა კი უფრო მძიმე სურათს აჩვენებს. კერძოდ, რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობამ I-III კვარტალის მიხედვით 43 845 ფაქტი შეადგინა.**

(შსს-ს 2018 წლის დეკემბრის მონაცემები ჯერ არ დაუთვლია. გიორგი გახარიას უწყება წლის საერთო სტატისტიკას და განახლებულ მაჩვენებლებს თვის ბოლოს გამოაქვეყნებს)

მართალია, შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ სტატისტიკის ზრდა დათვლის მეთოდოლოგიურმა ცვლილებამ გამოიწვია, მაგრამ ფაქტებიც მეტყველებენ, რომ კრიმინალი ყოველწლიურად სწრაფი ტემპით იზრდება. არსებული ვითარების გამო ქვეყანაში კერძო სექტორიც დაუცველი გახდა და ბიზნესი სულ უფრო აქტიურად საუბრობს, რომ პრობლემები აქვს. თავს დაცულად აღარ გრძნობს, რის გამოც ხშირად საქმიანობის გაგრძელების აზრსაც ვერ ხედავს. შესაბამისად, მაშინ, როდესაც გაზრდილი კრიმინალი ზოგადად ქვეყნის ეკონომიკას აფერხებს, თბილისშიც და მთლიან საქართველოშიც, ბიზნესის დაყაჩაღების ასობით ფაქტი მაინც ფიქსირდება:

„საქართველოს ბანკისა“ და „თიბისი ბანკის“ ფილიალი, „ჯეოსელის“ ოფისი, „სვოჩის“ მაღაზია, მაღაზიათა ქსელი „ბეკო“, „ტექნობუმი“, „ორი ნაბიჯი“, „მეგატექნიკა“ — ეს იმ ობიექტების არასრული ჩამონათვალია, რომელიც ძალიან ხშირად კრიმინალისა და გაძარცვის ობიექტი ხდება. როგორც წესი, გამოძიება უმეტეს შემთხვევაში არ სრულდება და დამნაშავეც დაუსჯელი რჩება.

გარდა ეკონომიკის შეფერხებისა, მძიმე კრიმინოგენური სიტუაცია, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, პირდაპირ უარყოფითად აისახება ქვეყნის დემოკრატიის ხარისხზეც. რამდენიმე კვლევიდან მხოლოდ ერთს დავასახელებთ: ანალიტიკური კვლევითი კომპანია „The Economist Intelligence Unit“-ის 2018 წლის დემოკრატიის ინდექსის კვლევა ცხადყოფს, რომ მსოფლიოს 165 ქვეყანას შორის, დემოკრატიულობის ხარისხით საქართველო 89-ე ადგილს იკავებს. მაქსიმალური 10 ქულიდან 5.50-ით შეფასდა და ჰიბრიდული რეჟიმის მქონე სახელმწიფოების ჯგუფს მიეკუთვნება. წინა წელთან შედარებით, მდგომარეობა გაუარესებულია, ვინაიდან 2017 წლის კვლევით საქართველოს დემოკრატიის ხარისხი 5.93 ქულით იყო შეფასებული და გლობალურ რანჟირებაში მსოფლიოს 167 ქვეყანას შორის 79-ე ადგილს იკავებდა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ 2012 წლიდან მოყოლებული, საქართველო ასეთი დაბალი ქულით პირველად შეფასდა.

როგორც დარგის სპეციალისტები ვარაუდობენ, ბოლო წლებში ჩამოყალიბებული ტენდენცია თუ კვლავ გაგრძელდება, ქვეყნის ეკონომიკაც, დემოკრატიაც, სოციალური ფონიც და პოლიტიკური გარემოც, ბევრად უარეს მდგომარეობაში ჩავარდება. ეკონომისტი ვაჟა ბერიძის შეფასებით, კრიმინალი არის ის პრობლემა, რომლის მოუგვარებლობასაც 2020 წელს შესაძლოა, „ქართული ოცნების“ მმართველობა შეეწიროს.

„ქრონოლოგიურად რომ დავალაგოთ, დღეს სასამართლო სისტემა არის ქვეყნის ნომერ პირველი პრობლემა. აღნიშნულთან, რა თქმა უნდა, პირდაპირ კავშირშია კრიმინალი. თუ ამ პრობლემას ხელისუფლება ვერ მოაგვარებს, მზად უნდა იყოს, რომ 2020 წელს მმართველობას სხვას გადააბარებს. ხალხი მას ნამდვილად აღარ დაუჭერს მხარს, რადგან ჩვენ გვაქვს უმძიმესი კრიმინოგენური სიტუაცია. ერთი მხრივ, ჩვენთვის მიუღებელი იყო წინა რეჟიმის მდგომარეობა — ნულოვანი ტოლერანტობა, მეორე მხრივ კი ასევე მიუღებელია დღევანდელი რეჟიმის ლოიალური დამოკიდებულება“.

„დღეს საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაა მართლწესრიგის განმტკიცება; ისეთ გარემოში ცხოვრება, სადაც შეძლებს სამართლიანობის აღდგენას და სადაც სასამართლო ავტორიტეტულ სისტემას წარმოადგენს; სადაც ყველა სამართალგადაცდომას ექნება ობიექტური რეაგირება და მოქალაქე თავს დაცულად იგრძნობს. სწორედ უსაფრთხო გარემოა ქვეყნის განვითარების მთავარი საფუძველი. შესაბამისად, მიზანი ერთმნიშვნელოვანია — კრიმინალი უნდა აილაგმოს და ამ მიმართულებით გადადგმული ყველა ნაბიჯი უნდა იყოს მაქსიმალურად ეფექტური. სხვა შემთხვევაში, კიდევ ერთხელ განვმეორდები — დღევანდელი ხელისუფლება ამას შეეწირება“, — აღნიშნავს ვაჟა ბერიძე.

ექსპერტთა პროგნოზებით, თუ კრიმინალის ზრდის ტენდენცია შენარჩუნდება, წლის ბოლოსთვის დანაშაულის რაოდენობამ შესაძლოა, 50 ათასს გადააჭარბოს.

სალომე ლემოჯავა

ქართულ მედიაში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე ჩვენ გაზეთში მუდმივად იბეჭდება სხვადასხვა სახის ანალიტიკური მასალები, რომლებსაც პროფესიონალი ჟურნალისტები, თუ ჩვენი მკითხველები გვაწვდიან. ამ წერილში უბრალოდ მინდა გამოვყო რამდენიმე ნიშანდობლივი ნიუანსი, რამაც განაპირობა ის მარაზმი, რასაც ტელემაყურებელი (დიახ, ამ შემთხვევაში ტელემაყურებელი და არა მკითხველი) დღეში რამდენჯერმე აწყდება.

პირველი და უმთავრესია ხელსუფლების დამოკიდებულება მედიასთან, არ გაგიკვირდეთ და სწორედაც რომ ხელისუფლების ის საოცარი ორმაგი სტანდარტი, რომელიც ერთი მხრივ ე.წ. „ბლატნოი“ მედიასაშუალებების მიმართ რაღაც მორჩილ, დამფრთხალ და დაბნეულ პოზიციას, ხოლო მეორე მხრივ მოსახლეობის მხრიდან მიღებული და მოწონებული მედიასაშუალებების იგნორს გვაჩვენებს.

ამ ფრაგმენტში ერთადერთი ნათელი წერტილი კახი კალაძეა, რომელიც ჯერ-ჯერობით მარტო აკეთებს ბევრის გასაკეთებელ საქმეს. ის არასდროს არ წაუყრუებს, სრულ და არგუმენტირებულ პასუხს სცემს ფეიკმედიის გამოხდომებს და არც ერთი ნაბიჯით არ იხევს უკან.

სამწუხაროდ, მაყურებლისთვის რეალური სურათის ჩვენების მიმართულებით, ის ჯერ-ჯერობით მარტოა. მარტოა იმ ფონზე, როდესაც საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთი წევრი (გვარს არ დავასახელებ), გაგანია წინასაარჩევნო პერიოდში, როდესაც სიცრუე, ცილისწამება და სიყალბე ერთ-ერთი „ბლატნოი“ ტელემედიისა და მის ფორმატში „მომუშავე“ ელექტრონული გამოცემების მხრივ ზენიტში იყო აყვანილი, საჯარო ბოდიშს უხდის „ჟურნალისტს“ მის მიერ გაკეთებული პროვოკაციის შემდეგ. და მიუხედავად იმისა, რომ ამ პროვოკაციის შესახებ ვიდეომასალა ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა, ხალხის იმ „რჩეულმა“ არ იკადრა საზოგადოებისთვის მიემართა და თავის „გადაცდომაზე“ თუნდაც ოდნავ გაწითლებულიყო.

ხელისუფლების მსგავსი დამოკიდებულების მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ „არაბლატნოი“ მედიის ჟურნალისტებისთვის, ფაქტობრივად, შეუძლებელია წვდომა თუნდაც საჯარო ინფორმაციაზე, ხოლო „ბლატნოებს“ პირველი პირები ზეთათბირის დროსაც კი აძლევენ კომენტარს.

უამრავჯერ გამიკეთებია შეთავაზება პოლიტიკოსებისთვის — თუ მათ არ ეცალათ და ქვეყნის მომავალზე ფიქრით იყვნენ დამაშვრალნი, მოცალეობის ჟამს, თაბახის ორიოდ ფურცელზე გადმოეცათ თავიანთი ხედვები ქვეყანაში არსებული ვითარების შესახებ, პრობლემების გადაჭრის გზებზე, მაგრამ...

მათ ურჩევნიათ რომელიმე პოლიტიკურ თოქ-შოუში, სადაც 50 სტუმარია და სადაც ორი საათის განმავლობაში საათნახევარი წამყვანი კეკლუცობს, სადაც ეთერის რეჟისორი ვერ ასწრებს პულტის გადართვას ამა თუ იმ კამერაზე, ერთი ფრაზა წამოისროლონ და შემდეგ ოჯახის წევრებისგან, თანამშრომლებისგან, ან ახლობლებისგან მოისმინონ შეფასებები — აუუ, რა მაგარი იყავიიი. ყველას დაახურეეე! (არადა ვისაც უნდა დავენაძლევები შემფასებლების 90%-ს ის გადაცემა საერთოდ არ უნახავს).

ვერ ვიტყვი, რომ ქაღალდზე აზრის გადმოცემა ძნელი საქმეა, მით უმეტეს პოლიტიკოსისთვის. ყოველ შემთხვევაში დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანს, რომელსაც ქვეყნის მართვაზე აქვს პრეტენზია, ეს აუცილებლად უნდა შეეძლოს.

ცხადია, არის იშვიათი გამონაკლისები. მაგალითისთვის ირმა ინაშვილს, ან თუნდაც კახი კალაძეს დავასახელებ. ამ ორ პოლიტიკოსს არასოდეს არ უჭირს სათქმელის მოსახლეობამდე მიტანა და ხშირ შემთხვევაში მათი ნააზრევი პირდაპირ, ყოველგვარი „დაჩეხის“ გარეშე გამომიყენებია ჩემს მასალებში.

მეორე და ასევე უმთავრესი პრობლემაა — მოთხოვნა, ანუ უხეშად რომ ვთქვა, გასაღების ბაზარი.

საზოგადოების ნერვიული ფონი, ე.წ. „დეპრესიული რეგიონის“ მენტალობა მიწოდებული „საქონლის“ მთავარი განმსაზღვრელია.

ყველას გვახსოვს წვენი „ზუკო“, შხამიანი ქიმია, რომელსაც 90-იანებში ფაქტობრივად ყველა სვამდა, მაგრამ ნელ-ნელა გამოჩნდა ნორმალური ლიმონათი, გამოჩნდა სხვადასხვა სახის გამაგრილებელი სასმელი და ეს ჩვენი „ზუკო“ სრულიად გაქრა დახლებიდან.

იმისათვის რომ მედიაზუკო გაქრეს, საჭიროა, სივრცეში გაჩნდეს „ეკოლოგიურად“ სუფთა პროდუქტი, რომელიც ყოველგვარი ხელების გადაგრეხის გარეშე ჩაანაცვლებს მომწამვლელ პროდუქტს.

სამწუხაროდ, აქაც არანაირი პერსპექტივა არ ჩანს. ისევ და ისევ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ხელისუფლება ჩვენს მიერ დაფინანსებულ ტელევიზიაში არაფერს არ აკეთებს და მთელი მედიასივრცე ხელში „ზუკოს“ დისტრიბუტორებს აქვთ ჩაგდებული.

მესამე — ჟურნალიტების „პროფესიონალიზმი“, რომელსაც ხშირად აკრიტიკებენ.

სავარაუდოდ დამეჯერება და ამიტომ პირდაპირ ვიტყვი, რომ ის, რაც არ მოგწონთ, იმ შემსრულებელი გოგონების ბრალი არ არის. აქ დამნაშავე ის პროდიუსერია, რომელსაც უნდა „ექსკლუზივი“, არ იცის, რეალურად რა ხდება, არც უნდა, რომ გაიგოს და უაზრო დავალებას აძლევს პატარა გოგონას, რომელიც რაღაც მანქანებით „ჟურნალისტად გაიჩითა“ (თვითონაც არ იცის, სად მიდის და იქ რა ხდება) და სურვილი აქვს, ყვირილით დასმული შეკითხვით თავი გამოიჩინოს (ეს „გაჩითვა“ ძალიან ჰგავს 90-იანების იმ სიტუაციას, როცა მამიკო თავისი შვილუკას დასასაქმებლად, რომელიმე ახლობელს ეტყოდა, არაფერი არ იცის, მაგრამ სადმე მუშაობა დააწყებინეო და ისიც თავის დაწესებულებაში პრესსამსახურის უფროსად აფორმებდა (დიახ! აფორმებდა).

დანარჩენი სტატიაში.

ტიპები, ვინც „ზუკოთი“ ამზადებს ლიმონათს, არ თმობენ პოზიციებს (ეს ელიტ-ჟურნალისტები) და სამწუხაროდ, მსგავს მაგალითებს ყოველდღე ვაწყდებით.

ნამდვილად არ მინდოდა ამის დაწერა, მაგრამ რაც არ უნდა მძიმე იყოს, მგონია, რომ ვალდებული ვარ:

დიდ დიღომში მომხდარი ტრაგედიის შესახებ ვუყურებდი რეპორტაჟებს სხვადასხვა არხზე (ისევე როგორც მთელი საქართველო) და ღმერთო მაპატიე, შეიძლება ვცოდავ, მაგრამ როცა ჩემი კოლეგების ქმედებას ვხედავდი, მეშინოდა.

მქონდა შეგრძნება, რომ „რ2“-ს რეალობა კი არ აინტერესებს, არამედ ცდილობს მოძებნოს ისეთი კომენტარები, რომ მაყურებელი უფრო დაძაბოს, დასტრესოს, საბოლოოდ გაანადგუროს (თუნდაც კომენტარები ე.წ. „თვითმხილველებთან“.

მხოლოდ ერთმა თქვა, რომ აფეთქების გაგონებისთანავე ავარდა და ბავშვი გადარჩინა. მეორე კი იმ არეულობაში ახლობლების მოსაძებნად მიდიოდა და ჟურნალისტი დაედევნა — ვინმე ხომ არ არის დაშავებულიო. როგორც კი გაიგონა უარყოფითი პასუხი, მაშინვე დაკარგა ინტერესი.

„იმედი“ ეძებს ექსკლუზივს. არ იცის, რა ქნას. უნდა „რ2“-ის ფორმატში იმუშაოს, მაგრამ „რაღაც“ აკავებს, გამოსდის რუსეთში რომ იტყვიან, „არც თევზი და არც ხორცი“.

სარედაქციო დავალება ძალიან გაურკვევლადაა მიცემული და ამიტომ ჟურნალისტს სურს, თავი გამოიჩინოს, იმოქმედოს ისე, როგორც ჰოლივუდის სხვადასხვა ფილმში უნახავს, მაგრამ ინტელექტის სიმწირის და ვითარების სიმძიმის (და უმთავრესად მორალური სიმძიმის გამო) არანაირად არ გამოსდის (შეკითხვა ექიმს რომელმაც „დამაგდო“ — როგორც გავიგეთ, მოიწვიეთ ყელ-ყურის ექიმი!)!

კიდევ ერთხელ მაპატიეთ ამ ხისტი შეფასებისთვის, მაგრამ ტელემედიის მხრიდან, მოსახლეობის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ზემოქმედების მხრივ, საქართველოში კატასტროფული სიტუაციაა.

ასევე საკმაოდ დამაფიქრებელი იყო კახი კალაძის მიერ „მთაწმინდიდან გამოქანებაზე“ ნათქვამი ფრაზის „შეფასება“.

მოკრძალებულად მაინტერესებს: ამ zukoმედიამ კალაძის ფრაზაში „მთაწმინდიდან გამოქანების“ მეტი ვერაფერი მოისმინა?

დარწმუნებული ვარ, რომ სავარაუდოდ, ისინი პირველები გამოექანებიან „ექსკლუზივის“ გასაკეთებლად.

მიუხედავად გამონათქვამის მიმართ საზოგადოების დადებითი განწყობისა, კალაძემ მაინც გააკეთა გარკვეული განმარტება, რომელიც ნამდვილად არ იყო თავის მართლება. პირიქით, მან თქვა ის რეალობა, რაც არის და თქვა ის, რაც ხალხს დიდი ხანია, აწუხებს: **„მე საზოგადოებასა და ადამიანებთან არც ურთიერთობა მეშლება, არც საუბარი, არც ზრდილობა მაკლია. თუმცა, რომ გითხრათ, ვამაყობ-მეთქი ამ განცხადებებით, ნამდვილად არ არის ასე. თუმცა, ეს (ნაციონალური მოძრაობა)არის ადამიანების დაჯგუფება, რომელიც ძირითადად დაკავებულია სიცრუით, ჩაგვრით, სხვა ენა მათ არ ესმით. ეს არ არის გამამართლებელი, რა თქმა უნდა, მაგრამ მე ცენზი არ დამირღვევია, მე ეს ვთქვი ისეთი სიტყვებით, რომლებიც ყველასთვის გასაგები იყო. საკმაოდ დიდი პოპულარობა მოიპოვა ამ გამონათქვამმა, სხვათა შორის“...**

* * *

ძალიან მარტივია ბეჭდური მედიისა და ელექტრონული მედიის შედარება.

მარტივია, რადგანაც ტექნოლოგიურმა პროგრესმა ინფორმაციის გავრცელების მხრივ, ელექტრონული მედია გაცილებით მომგებიან პოზიციაზე დააყენა, მაგრამ ანალიტიკური მასალის გაცნობა, მისი მოცულობიდან გამომდინარე, ნაბეჭდი სახით უფრო მისაღებია, ვიდრე კომპიუტერში (დამერწმუნეთ ეს ასეა).

ეს თემა შეიძლება შევადარო კომპიუტერში და თუნდაც მოუწყობელ მოედანზე ნათამაშებ ფეხბურთს.

ბუნებრივია, რომ მოთამაშეს კომპიუტერის საშუალებით სხვადასხვა ფინტის ჩატარების გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვს, ვიდრე „ლაივში“ თამაშისას და თავისუფლად შეუძლია, რომ ტყიბულის „მეშახტეს“ „ბარსელონასთან“ გამარჯვება მოუტანოს, მაგრამ თავად თამაშის ეშხი, შენს მიერ ჩატარებული ილეთის შემდეგ გატანილი გოლის „მუღამი“, სულ სხვა სიამოვნებაა.

ბეჭდურმა და ელექტრონულმა მედიამ თავიანთი „გავლენის სფეროები“ ფაქტობრივად გადაინაწილეს და რომ არა ე.წ. ზუკო-ჟურნალისტებისა და ზუკო-პოლიტიკოსთა გარკვეული ნაწილის დამოკიდებულება, რაც მწირი ინტელექტისა და სიზარმაცის შედეგი მგონია, ჟურნალისტიკის ეს ორი მიმართულება ერთმანეთთან მშვენივრად ითანაცხოვრებს, რაც უდაოდ წაადგება ქართული ჟურნალისტიკის განვითარებას.



გია გაბრიჭიძე

მომხმარებლებისთვის გაზის მიწოდებასთან დაკავშირებული რეგულაციები კიდევ უფრო გამკაცრდება

„საქართველოს მოსახლეობის გაზიფიკაცია ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს გაზის მოხმარების უსაფრთხოების წესების სრული დაცვით. დიდ მწუხარებას გამოვთქვამთ გაზის აფეთქებისა და გაზით მოწამვლის ტრაგიკული შემთხვევების დროს დაღუპულთა გამო და იმედი მაქვს, რომ გამოძიება, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო აწარმოებს, ტრაგედიის გამომწვევ მიზეზებს დაადგენს, მაგრამ ამავე დროს, ჩვენ ვგეგმავთ, გაზის მოხმარების უსაფრთხოების გაძლიერებას და ამ კუთხით საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების დამკვიდრებას,“ — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ნათია თურნავამ.

მისი თქმით, კიდევ უფრო გამკაცრდება მოთხოვნები გაზის კვალიფიციური კომპანიების მიერ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოების მიმართულებით, ასევე უფრო მეტად დარეგულირდება მოსახლეობის მიერ ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებში ბუნებრივი გაზის ქსელის მონტაჟთან, ასევე ბუნებრივი გაზის დანადგარების უსაფრთხო მომხმარებასთან დაკავშირებული საკითხები. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის განცხადებით, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა არსებული მარეგულირებელი ბაზის რევიზიაზე, რომელიც შეიცვლება პროცესში მონაწილე ყველა მხარის უფლება-მოვალეობების გამოკვეთისა და გამკაცრების მიმართულებით.

აზერბაიჯანმა მილსადენით ნავთობის ექსპორტი გაზარდა

2018 წელს აზერბაიჯანული ნავთობის ექსპორტი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით გაიზარდა 33,827 მილიონ ტონამდე 2017 წლის 33,755 მლნ ტონის მაჩვენებელთან შედარებით. ნათქვამია აზერბაიჯანის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

თურქმენეთიდან და რუსეთიდან ტრანზიტული ნავთობის გატარება 2018 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით გაიზარდა 6,530 მილიონ ტონამდე წინა წლის 6,432 მლნ ტონის მაჩვენებელთან შედარებით.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით აზერბაიჯანმა განახორციელა ნავთობის მთელი ექსპორტის 81,5 პროცენტის ექსპორტი, რომელმაც 2018 წელს შეადგინა 41,490 მლნ ტონა.

აკი, კერძო ბიზნესი ხელშეუხებელიაო?!

საქართველოს ეკონომიკური სიმძლავრის დონის განმარტებისას უმთავრესად სიტყვა „განვითარებადს“ ვიყენებთ. ეკონომიკის განვითარების ტემპის აჩქარება მეწარმე სუბიექტებისთვის სახელმწიფოსგან ხელის შეწყობის გარეშე წარმოუდგენელია. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, გონივრული კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების არსებობას, იაფი სამეწარმეო კრედიტებისა და, საერთოდაც, მეწარმეთათვის მაქსიმალურად კომფორტული გარემოს შექმნას გულისხმობს. საამისოდ კი ხელისუფლების ყველა შტო — საკანონმდებლოც, სასამართლოც და აღმასრულებელიც მეწარმის ინტერესებიდან გამომდინარე, შეხმატკბილებულად უნდა მოქმედებდეს, მაგრამ... აი, რას მოგვითხრობს მეწარმე, ბატონი ჯუმბერ სარდლიშვილი.



ნუ ანარქიებ

20-თეთრიან „ზარალს“ შეწირული ათობით ათასი ლარი

— როდესაც სამების ეკლესია შენდებოდა, სანახავად წავედი, მისი გრანდიოზულობით მოხიბლულს სიამაყის განცდა გამიჩნდა. შესაწირი ყუთი დავინახე. ჯიბეში რამდენიმე ლარი მქონდა. აღარ მახსოვს, ერთი თუ ორი ლარი ჩავაგდე ყუთში. მილიონობით სხვის შენაწირთან ეს რა მოსატანი იყო, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიხაროდა, რომ მეც მცირედი წვლილი შევიტანე ტაძრის მშენებლობაში. ღირსებაშელახული ადამიანი ისეა დათრგუნვილი, ქვეყნის ასაშენებლად აღებული აგური, შეიძლება, ხელიდან გაუვარდეს და გულგატეხილი ქვეყნიდან გადაიკარგოს.

ერთი ადამიანი, რაც არ უნდა დიდი გონებრივი და ფინანსური შესაძლებლობები ჰქონდეს, ვერ ააშენებს. ხელისუფლების ყველა შტოს ზნეობრივი ვალდებულებაა, მეწარმე სუბიექტს ღირსება არ შეელახოს, რათა ყველას ჰქონდეს სურვილიც და შესაძლებლობაც, ქვეყნის მშენებლობაში ერთი აგური მაინც დადოს.

ო.ტ: — მე კარგად მესმის, რატომ ამახვილებთ ყურადღებას ზნეობრივ ასპექტზე, მაგრამ გარემოზე 20 თეთრის ზიანის საბაბით ორი საწარმოს თვეობით გაჩერება უფრო დანაშაულებრივი საკითხია, ვიდრე — ზნეობრივი. განა ასე არ არის?

ჯ.ს.: — ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57-ე პრიმა მუხლი ლაკონურად იყო ჩამოყალიბებული — არალიცენზირებული ტერიტორიიდან ქვიშა-ხრეშის მოპოვება 1000-დან 1500 ლარამდე ჯარიმით ისჯებოდა. მოსამართლეს საშუალება ჰქონდა, ზიანის ოდენობის მიხედვით განესაზღვრა ჯარიმის ოდენობა. 2018 წლის აპრილში პარლამენტმა კანონში ცვლილება შეიტანა. გაჩნდა იმპერატიული მოთხოვნა, სახელის გადახდასთან ერთად სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციაც მომხდარიყო. ამ ცვლილებით მოსამართლე ვალდებულია 1 კუბ.მ ქვიშა-ხრეშის არალიცენზირებულ ტერიტორიაზე ამოღების შემთხვევაში სამართალდამრღვევს გადაახდევინოს 1000-1500 ლარი ჯარიმა და სამართალდარღვევის იარაღის — ექსკავატორის კონფისკაცია მოახდინოს. საქართველოს კანონით „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ“ მე-5 მუხლის „ე“ პუნქტით 1 კუბ.მ ქვიშა-ხრეშისთვის განსაზღვრულია 20(ოცი) თეთრი. ამ ოცი თეთრის გამო მეწარმეს 100-200 ათას ლარად ღირებული ტექნიკა უნდა წაართვან?!

პარლამენტარებს, რომლებმაც ამ ცვლილებას ხმა მისცეს, გავუგებდი, კანონში ზიანის ოდენობის მიხედვით რომ გაზრდილიყო ჯარიმა, ან დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე მოსამართლისთვის მიეცათ უფლება, გადაეწყვიტა დანაშაულის იარაღის კონფისკაციის საკითხი.

ბატონო ოთარ, ხელისუფლების ზნეობრივ ვალდებულებაში ვგულისხმობდი იმას, რომ კანონი სამართლიანი უნდა იყოს და სიკეთე მოჰქონდეს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57 პრიმა მუხლი დღეს უსამართლოა და ბოროტება მოაქვს სახელმწიფოსთვისაც და მეწარმისთვისაც, ხელ-ფეხს უხსნის არაკეთილსინდისიერ, მექრთამე გარემოს დაცვითი ზედამხედველობის თანამშრომლებს, რაიონის სხვა მოხელეებს, გამოძალვის მიზნით მოისყიდონ, ან დააშინონ ექსკავატორის ოპერატორი და ლიცენზირებული ტერიტორიის გარეთ 1 კუბ.მ ქვიშა-ხრეში ამოაღებინონ და ტექნიკის დალუქვით წარმოება თვეობით გააჩერონ.

კანონი, რომელსაც მეწარმისთვის ბოროტება მოაქვს, სახელმწიფოს სიკეთეს ვერ მოუტანს. ამ კანონით ფეხით არის გათელილი ადამიანის უფლებები. 57-ე პირმა მუხლის პათოსი რომ განვავრცოთ, შესაძლებელია გზის ღერძულა ხაზის გადაკვეთისას მესაკუთრეს სატრანსპორტო საშუალება წავართვათ. წინა ხელისუფლების უკანონო წართმევებისგან რითი განსხვავდება კანონიერი წართმევები? ორივე შემთხვევაში ხელისუფლებას მეწარმე ფეხებზე ჰკიდია. ვინც მეწარმეზე არ ფიქრობს, ის არც სახელმწიფოზე ფიქრობს.

ო.ტ.: — ბატონო ჯუმბერ, თქვენი წარმოების, შპს „ბექანასი“-ს სამრეწველო პროფილი ინერტული მასალის წარმოებაა. ქვიშა-ხრეშის გადამუშავებისას დიდი რაოდენობის ლამნარევი თიხა გიგროვდებათ, რომლის ლაბორატორიული კვლევით დაადგინეთ, რომ ნარჩენისგან შესაძლებელი იყო აგურის წარმოება. თურქეთში, იზმირის აგურის ქარხანაში ამ მასალისგან აგური გამოაწვევინეთ და საუკეთესო ნედლეული აღმოჩნდა. მთავრობაში აგურის ქარხნის აშენების საკითხი დააყენეთ. პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ერთ ლარად გადმოგეცათ 13067 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ზედ განთავსებული ძველი შენობა-ნაგებობებით. გამოდის, რომ ხელისუფლებაში ვიღაც ფიქრობს მეწარმეზეც და ქვეყანაზეც.

ჯ.ს.: — ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ასეთი „ვიღაც“ ხელისუფლებაში არ იყოს. ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოსთან, შეუძლებელია, რაიმე პრეტენზია მქონდეს. მათგან გულწრფელ თანადგომას მაშინაც ვგრძნობდი, როცა ქონების გადმოცემის საკითხი წყდებოდა და მაშინაც, როცა მშენებლობა დავიწყე. კეთილი სურვილებით იყვნენ ჩემ მიმართ განწყობილი მცხეთა-მთიანეთის გუბერნიისა და მცხეთის გამგეობის თანამშრომლები.

2017 წელს შევქმენი შპს „სამშენებლო კერამიკა“, რომლის დირექტორიც მე ვარ, შპს „ბექანასი“-ს დირექტორად კი დაინიშნა კონსტანტინე სარდლიშვილი.

აგურის ქარხნის მშენებლობაში პირველი სიძნელეები კომერციული ბანკებიდან დაიწყო. „აწარმოე საქართველოში“ პროგრამით იაფი კრედიტი უნდა მიმეღო. ბანკში საპროექტო თანხის 10%-ის დაფარვას სახელმწიფო თავის თავზე იღებდა, წარმოებას მხოლოდ წლიური 2%-ის დაფარვა უწევდა. მეწარმისთვის ეს დიდი დახმარება იყო, მაგრამ ეს დახმარება ვერ მივიღე. ქონებრივი უზრუნველყოფის მიუხედავად, ბანკები სტარტაპს არ აფინანსებენ. დაითვალეს ჩემი მოქმედი საწარმოს შ.პ.ს. „ბექანასი“-ს შემოსავლები, შპს „სამშენებლო კერამიკის“ აგურის ქარხნის საპროექტო თანხის გასაცემად საკმარისი არ იყო. შევთანხმდით წარმოებასთან ერთად ფიზიკური პირის თავდებობაზე, რომელსაც დივიდენდების სახით დიდი შემოსავლები ჰქონდა. აღმოჩნდა, რომ ბანკში სიტყვას ფასი არა აქვს. მოგვიანებით ფიზიკური პირის თავდებობაზე უარი მითხრეს და იურიდიული პირის თავდებობა მოითხოვეს. როდესაც იურიდიული პირიც გამოვნახეთ, იურიდიული პირი შპს „სამშენებლო კერამიკაში“ წილს უნდა ფლობდესო. აი, ასე მითხრეს უარი.

ყველაზე იმედიანი წინადადება „ვი-თი-ბი ბანკმა“ შემომთავაზა: საპროექტო თანხის 30% ჯერ შენ დახარჯე და დანარჩენს ჩვენ მოგცემთო. არც ერთმა ბანკმა არ გაითვალისწინა, რომ საპროექტო თანხის წლიური ათი პროცენტის დაფარვას სახელმწიფო იღებდა თავის თავზე და ჩემი მოქმედი წარმოების, შპს „ბექანასი“-ს შემოსავლებიდან ორი პროცენტის დაფარვის პრობლემა არ იყო. არც ის გაითვალისწინეს, რომ საპროექტო თანხის ექსჯერ-შვიდჯერ მეტი ღირებულების ქონებრივ უზრუნველყოფას ვთავაზობდი. ბანკიდან ბანკში სირბილს თვეები მოვანდომე.

ო.ტ.: — ამ თვეების მანძილზე აგურის ქარხნის მშენებლობა შეჩერებული იყო?

ჯ.ს.: — არა. ჩემი მოქმედი წარმოების შემოსავლებით აგურის ქარხნის მშენებლობა დავიწყე; თუმცა ფინანსური პრობლემის გამო ტემპი არასაკმარისი იყო. მე მქონდა დანაზოგებიც, საიდანაც იძულებული გავხდი, 130 ათასი ლარი ბანკში შემეტანა ეკონომიკის სამინისტროსთვის საგარანტიოს წერილის ასაღებად. საგარანტიო წერილი ქონებრივი უზრუნველყოფით ვერ ავიღე. 13 ათასი ლარი საპროექტო თანხის ათი პროცენტია. როდესაც სახელმწიფო ქონებას ერთ ლარად გაძლევს ბანკიდან, საგარანტიო წერილს ითხოვს. იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებებს ვერ შეასრულებ, საგარანტიო თანხას სახელმწიფო წაიღებს, თუ შეასრულებ, უკან გიბრუნდება. მშენებლობის მთელი ორი წლის განმავლობაში ჩემი ფულით ბანკი სარგებლობს, მე კი პირველი ეტაპის სამუშაოების დასასრულებლად ბანკიდან ძვირადღირებული კრედიტი ავიღე. უფრო გონივრული და სამართლიანი არ იქნებოდა, ჩემი 130 ათასი ლარი წარმოების მშენებლობაში დამეხარჯა და ჩემთვის სახელმწიფოს მხოლოდ ამის შემდეგ გადმოეცა ქონება ერთ ლარად? ჩემი ფულით მე ვისარგებლებდი და ერთი საგარანტიო ფურცლის ასაღებად ბანკს არ მივართმევდი. ასე ბანკს ვუწყობთ ხელს და არა მეწარმეს.

ო.ტ.: — პირველი ეტაპის სამუშაოების დასამთავრებლად თქვენ 24%-ში აიღეთ კრედიტი ბანკიდან. თუ სესხს „აწარმოე საქართველოში“ პროგრამით მიიღებდით, წლიურად თანხის 2%-ს გადაიხდიდით, დანარჩენს სახელმწიფო დაგიფარავდათ. რა გამოდის, ბანკი სესხზე უარს ეუბნება მეწარმეს, როცა წლიური ორი პროცენტის გადახდა უწევს და აძლევს სესხს, როცა წლიური 24%-ის გადახდა უწევს?

ჯ.ს. — „აწარმოე საქართველოში“ პროგრამით კრედიტის მიღებასთან დაკავშირებით ზემოთ ვისაუბრეთ. მაშინ ამ პროგრამით კრედიტი ვერ მივიღე. ვცდილობდი, საპროექტო თანხის მესამედი დამეხარჯა, რაც „აწარმოე საქართველოში“ პროგრამით იაფი კრედიტის მიღების შანსს მაძლევდა. როგორც ბანკები ამბობენ, 12%-იანი ბიზნეს სესხი ბანკებისთვის სარისკოა, ხოლო 24%-იანი სამომხმარებლო სესხი — არა. კრედო ბანკიდან 220000 (ორასოცდათასი) ლარი 24% პროცენტში ავიღე იმ პირობით, შემოსავლების დათვლის შემდეგ 12%-იან ბიზნეს სესხით გადამიფარავდნენ, მაგრამ გაუტკბათ 24%-ის მიღება და საერთოდ უარი მითხრეს ბიზნეს სესხზე.

ო.ტ.: — ჩემთვის როგორც ცნობილია, „თიბისი“ ბანკის დიდუბის ფილიალთან, აგურის ქარხნის მშენებლობის რაღაც ეტაპზე, მიაღწიეთ შეთანხმებას „აწარმოე საქართველოში“ პროგრამით მიგეღოთ იაფი კრედიტი. ეს რა შეთანხმება იყო? რა მოხდა შემდეგ?

ჯ.ს.: — ბატონო ოთარ, „თიბისი“ ბანკთან ჩემი სიტყვიერი შეთანხმება ითვალისწინებდა, რომ საპროექტო თანხის ორ მესამედს ბანკი „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში მომცემდა, აქედან ნახევარს ფულადი სახით, ხოლო ნახევარს — ლიზინგით, დანადგარებისთვის და სხვა ტექნიკისთვის. მაგრამ... მოხდა ის, რაც მეწარმეზე მზრუნველი ხელისუფლების პირობებში არ უნდა მოხდეს.

2018 წლის 16 ივლისს გარემოს დაცვითი ზედამხედველობის თანამშრომლებმა შპს „ბექანასს“ შეუდგინეს სამართალდარღვევის ოქმი №046265 მასზედ, რომ შპს „ბექანასი“-ს ექსკავატორმა ლიცენზირებული ტერიტორიის გარეთ ამოიღო 1 კუბ.მ (ერთი) ქვიშა-ხრეში და ტექნიკა დაილუქა. საქართველოს კანონით „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებლის შესახებ“ მე-5 მუხლის „ე“ პუნქტით 1 კუბ.მ ქვიშა-ხრეშისთვის განსაზღვრულია 20 (ოცი) თეთრი.

ო.ტ.: — თქვენ ამბობთ, რომ 1 კუბ.მ ქვიშა-ხრეშის გამო წარმოებამ მუშაობა შეწყვიტა?

ჯ.ს.: — შპს „ბექანასი“ ფლობდა ათიათასობით მეტრ კუბ ქვიშა-ხრეშის ლიცენზიას და ლიცენზიის ვადის გასვლამდე დარჩენილი იყო რვა თვე. გადამმუშავებელი საწარმოდან უფრო მოშორებით, არალიცენზირებული ერთი კუბის ამოღება ჩვენს ინტერესში არ შედიოდა. იმავე 16 ივლისს ექსკავატორი ლიცენზირებულ ტერიტორიაზე მუშაობდა და რამდენიმე მანქანა ქვიშა-ხრეშის დატვირთვა მოახდინა, რაზედაც გამოწერილია შიდა გადაზიდვის ზედნადებები. შპს „ბექანასი“ ექვსი წლის მუშაობის მანძილზე არასოდეს ადმინისტრაციულად სახდელდადებული არ ყოფილა, რასაც ადასტურებს შსს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის 17.07.2018 წლის წერილი.

2018 წლის 16 ივლისს, ოქმის შედგენისთანავე, ექსკავატორი და ავტომანქანა შესაბამისმა სამსახურმა დალუქა და წარმოებამ მუშაობა შეწყვიტა. ჩვენთვის უცნობია, ექსკავატორის მძღოლმა ლიცენზირებულ ტერიტორიაზე რატომ შეწყვიტა ქვიშა-ხრეშის ამოღება და რატომ შეიცვალა ადგილი. წარმოების შეჩერება ჩვენთვის მძიმე შედეგის მომტანი გახდა, რადგან ბანკის პროცენტს აქედან შემოსავლებით ვიხდიდით. ბიუჯეტში კარგი გადამხდელები ვიყავით და ოცი თეთრის გამო წარმოების გაჩერება ბიუჯეტსაც აზიანებდა, ჩვენც და ყველა თანამშრომლის ოჯახსაც. იძულებული გავხდით, მცხეთაში სუს-ის უფროსისთვის მიგვემართა, რათა ეკისრა შუამდგომლობა და გარემოს დაცვის შესაბამის სამსახურს სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ტექნიკაზე ლუქი მოეხსნა. მით უმეტეს ვიცოდით, რომ ამ სამსახურის უფროსი მასთან დაახლოებული პირი იყო, მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად, მან ეს ვერ მოახერხა. ეჭვი გაგვიჩნდა, რომ გარემოს დაცვითი ორგანიზაცია დავალებას ასრულებდა, ტექნიკის მძღოლი მოისყიდეს, ან შეაშინეს და ეს ნაბიჯი გადაადგმევინეს, მით უმეტეს, მძღოლი მაშინვე წავიდა სამსახურიდან.

2018 წლის 19 ივლისს განცხადებით მივმართეთ სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს დაცვითი ზე-

აკი, კერძო ბიზნესი ხელშეუხებელია?!

საქართველოში!

დამხედველობის დეპარტამენტს და მოვითხოვე, სასამართლოს გადაწყვეტილებამდე წარმოება არ გაეჩერებინათ და ტექნიკის გამოყენების უფლება მოეცათ, რაზეც წერილობითი უარი მივიღეთ (28.07.2018). აი, ფაქტი მეწარმის მიმართ ხელისუფლების უსულგულო დამოკიდებულებისა.

ო.ტ.: — სასამართლო ხშირად თვეობით იწელება. ოცი თეთრის გამო თვეობით გაჩერებულია წარმოება. ფულს მარტო თქვენ კი არა, ბიუჯეტიც კარგავს. შემოსავლების გარეშე დარჩნენ მუშა-მოსამსახურეთა ოჯახები...

ჯ.ს.: — ხელისუფლების უპასუხისმგებლო ქმედებამ წარმოების გაჩერებით ბიუჯეტს დაუკარგა 60-80 ათასი ლარი. მე იმ მდგომარეობამდე მიმიყვანა, რომ პროცენტის დასაფარად იძულებული გავხდი, თბილისში უძრავი ქონება წარმოუდგენლად დაბალ ფასში გამეყიდა, რათა ბანკებიდან ქონება გამომეხსნა. ყველაზე მტკივნეული მაინც ის არის, რომ მოქმედი საწარმოდან შემოსავლის გადაკეტვით აგურის ქარხნის მშენებლობა ვერ გავაგრძელე. ბრუნვების არქონის გამო, „თიბისი ბანკმაც“ სესხის გაცემაზე უარი თქვა. სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, სახელმწიფოს შეუძლია უკან წაიღოს გადმოცემული ქონება ისე, რომ მშენებლობაზე დახარჯული ხუთასი ათასი ლარიდან ერთი თეთრიც არ დამიბრუნოს.

განცხადებით ბატონ პრემიერ-მინისტრს **მამუკა ბახტაძეს** მივმართე (2018 წლის 7 ნოემბერი), წერილობით ავუხსენი მდგომარეობა და დახმარება ვთხოვე. ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი პრემიერის სიტყვები, თუ ვინმემ თქვენს ბიზნესს პრობლემები შეუქმნა, მე მომმართეთო, მივმართე და პასუხი დღესაც არ მაქვს მიღებული. ვის აღარ ვთხოვე, ბატონ პრემიერთან შეხვედრაში დამხმარებოდა, მაგრამ... ერთმა ისიც მითხრა, ვერ შეგახვედრებ, ეგონება, შენს ბიზნესში ინტერესი მაქვსო. დიახ, ბატონებო, ვისაც სხვისი ბიზნესების დანგრევის ინტერესი აქვს, მშვენივრად ახერხებს დანგრევას და კანონიერ საფუძველსაც უქმნის თავის ამ ქმედებას, მაგრამ ბიზნესის დაცვის ინტერესი არავის აქვს.

ვიფიქრე, უსამართლო კანონმა სხვაც ჩემს დღეში არ ჩააგდოს-მეთქი და მცხეთის მაჟორიტარ დეპუტატს, ბატონ **დიმიტრი ხუნდაძეს** ვთხოვე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57-ე პრიმა მუხლს პარლამენტმა იქნებ გადახედოს-მეთქი და ჩემი პრობლემა გავაცანი. მითხრა, ორი დღის მერე დამირეკეო. დავურეკე და აი, რა მითხრა: კანონი წავიკითხე, იურისტებსაც წავაკითხე და ყველაფერი რიგზეა. ტექნიკა დროებით ილუქება და მერე მესაკუთრეს უბრუნდებაო. შეპასუხება დავიწყე, მაგრამ მივხვდი, რომ აზრი არ ჰქონდა. ჯერ პარლამენტარს და მერე იმ იურისტს რა ვუთხრა, რომლებმაც კანონის წაკითხვა არ იციან... კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, მოხდეს სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაცია. სამართალდარღვევის იარაღში ექსკავატორი იგულისხმება, ნუთუ ეს გაუგებარია?

ო.ტ.: — თქვენ ამბობთ, რომ ვისაც სხვისი ბიზნესის დანგრევის ინტერესი აქვს, შეუძლოა, ინტერესს კანონიერი საფუძველი შეუქმნას. გამოდის, რომ ეს ინტერესი ხელისუფლების მაღალ წრეებში ყალიბდება?

ჯ.ს.: — არა მარტო ხელისუფლების, ხელისუფლებასთან დაახლოებულ — ბიზნესმენთა თავებშიც. კანონიერ საფუძვლებში კი მხოლოდ კანონებს არ ვგულისხმობ. გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს გადავწყვიტე, მიწა 49-წლიანი იჯარით ამეღო, მომეყვანა ბოსტნეული და დამეკონსერვებინა. მიწა მაშინ ვის სჭირდებოდა? სოფელში მხოლოდ მე მქონდა იჯარით, გავასარწყავე, ოცი კაცი დავასაქმე და ბოსტნეულის დიდი მოსავალი მოვიწიეთ. პარალელურად მცირე საკონსერვო საწარმო მოვაწყე და დავიწყეთ პამიდვრის დაკონსერვება თავისავე წვენში, ბულგარული წიწაკის დაკონსერვება პამიდვრის წვენში, ყაბაყის დაკონსერვება, დაჭრილი მწვანე პამიდვრის დაკონსერვება ზეთში, დაჭრილ ბულგარულ წიწაკასთან ერთად და პამიდვრის წვენის მომზადება კერძებისთვის. ჩვენი კონსერვებით ვამარაგებდით ქართულ სასაზღვრო ჯარს და გაგვქონდა თბილისის მაღაზიებშიც, მაგრამ... ეს მიწა (15 ჰა) ვიღაცის ინტერესში მოექცა, წააქეზეს მოსახლეობა, რომლებიც მალიმალ მიცვივდებოდნენ და მოითხოვდნენ, მიწისთვის თავი დამენებებინა, რათა საძოვრად გამოეყენებინათ. რაიონის ხელმძღვანელობამ სოფლის კრება ჩაატარა, რომელმაც მოითხოვა ჩემთვის მიწის მონაცვლეობა გაეკეთებინათ. რაიონის ხელმძღვანელობამ კრების ოქმი საფუძვლად გამოიყენა და ეს გასარწყავებული მიწა ჩამომართვეს. გავიდა დრო, ეს მიწა გაიტანეს აუქციონზე, მოსახლეობის გასაჩერებლად ყველა ოჯახს 2000 დოლარი გადასცეს და ხმაც არავის ამოუღია. არ ვიცი, დღეს ეს მიწა ვისია, მაგრამ იქ ელექტრონული მუსიკის ფესტივალები იმართება.

მეორე მაგალითი: ჩემი საკუთარი მიწის ექვსი ჰექტარი აღმოჩნდა ვიღაცის ინტერესში. რაიონში შეიქმნა კომისია, რომელმაც „დაადგინა“, რომ ლისის ტბას მე ვაბინძურებდი იმით, რომ სოფლის საქონელი ჩემი ტერიტორიიდან შედიოდა ტბაში და წყალს სვამდა. ჩემი მიწა ხუთასი მეტრის პერიმეტრზე ეკვროდა ტბას, საქონელი გვერდითი მიწებიდან ვერ შევიდოდა ტბაში? შეღობილი ხომ არავის ჰქონდა? ჩინოვნიკმა გარემოს დამცველმა სახალხოდ ისიც განაცხადა, ჯუმბერ სარდლიშვილი მიწას ხნავს და ლისის ტბა იმიტომ პატარავდება, რომ მოხვნის შედეგად წყალი ორთქლდებაო. სინამდვილეში მიწის აფხვიერება წყლის აორთქლებას ხელს უშლის. ამ ტერიტორიაზე სასათბურო მეურნეობის მშენებლობა მქონდა დაწყებული. ავიღე პროექტი, გუბურები გავაკეთე, ჭაობიანი გზა ავამაღლე, სათბურების ასაშენებლად ნიადაგი მოვამზადე, შევიძინე სათბურების რკინის კონსტრუქციები და მიწა რაიონის გამგეობის დადგენილებით ჩამომართვეს. საფუძველი კომისიის დასკვნა იყო. მაშინდელი ხელისუფლების მიწა უნდა გადაეცა მამუკა ხაზარაძისთვის. მე შევხვდი მამუკა ხაზარაძეს და გაწეული ხარჯების გადახდა მოვთხოვე. მითხრა, მე სახელმწიფოს ვუხდი ფულს და თქვენ სახელმწიფოს მოსთხოვეთო.

მშიშარა კაცი არ ვარ. გამგეობის გადაწყვეტილება გავასაჩივრე, რაც მაშინ წარმოუდგენელი იყო და სასამართლოც მოვიგე. მიწა დავიბრუნე, მაგრამ მცხეთის მაშინდელმა პროკურორმა ადეიშვილის დავალებით დამირეკა, სახელმწიფო დიდ ფულს კარგავსო და მიწის გაცვლაზე დამითანხმა. სანაცვლო მიწა საგურამოში მომცეს.

ხელისუფლებამ მაშინ აი ასეთი წყალწყალა საფუძვლებით დამინგრია ორი ბიზნესი. დღეს პარლამენტში მიღებული კანონის საფუძველზე მინგრევენ კიდევ ორ ბიზნესს. ჩემს ქვეყანაში ბიზნესის კეთებით კი არა, ნერვიულობით დავიღალე.

ო.ტ.: — ამიტომაც ყვავის ჩვენი ეკონომიკა, უმუშევარი ხალხი ამიტომაც გარბის ქვეყნიდან... თქვენ როგორ ფიქრობთ, 1 კუბ.მ ქვიშა-ხრეშის ლიცენზირებული ტერიტორიის გარეთ ამოღება, ჟარგონით რომ ვთქვათ, „გაგიჩალიჩეს“?

ჯ.ს.: — მაშ რა ვიფიქრო, როცა ლიცენზირებული ტერიტორიიდან გასვლის არანაირი მოტივაცია არ გვქონდა და ბრძანება ჩვენ არ გაგვიცია! შემდგომმა პროცესებმა იმაშიც დამარწმუნა, რომ ექსკავატორის ოპერატორის შეცდომაც არ იყო. გარემოს დაცვითი ზედამხედველობა და სასამართლო შეთანხმებულად მოქმედებდა, ორივე ვიღაცის დავალებას ასრულებდა.

ადამიანს, რომელიც დადგენილებას იღებს, მოსამართლე ჰქვია. ის პროფესიულად მოწოდებულია, ერთი მხრივ, სიმართლე დაადგინოს და, მეორე მხრივ, სამართლიანი დადგენილება მიიღოს. კანონი და სამართალი სხვადასხვა ცნებებია. კანონი ხელისუფლების ნებაა, ხოლო სამართალი ადამიანურობის ზნეობრივი გამოხატულება.

სამართლიანი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე კანონიერი. პოლიტიკოსებმა მოსამართლე საკანონმდებლო ჩარჩოებში მოაქციეს, რითიც სასამართლო ხელისუფლების უზურპაცია მოახდინეს. დღეს სასამართლო სამართლიანი კი არა — კანონიერია, დღევანდელ სასამართლოს „საკანონო“ უნდა ერქვას და მოსამართლეს — „მეკანონე“, რაც მოსამართლის ღირსების დამაკნინებელია. თავიანთი ღირსებისათვის და უფლებებისათვის მოსამართლეებმა თავად უნდა იბრძოლონ, გაერთიანდნენ, გამოაჯანსაღონ სისტემა და არავის მისცენ უფლება ამ სისტემაში ცხვირის ჩაყოფისა. ეს მათი უფლებაც არის და ვალდებულებაც.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57-ე პრიმა მუხლით მოსამართლე აბსოლუტურად ღირსებააყრილია. მას კანონით უფლება არა აქვს, მიიღოს სამართლიანი დადგენილება და დანაშაულის სიმძიმისდამიხედვით განსაზღვროს ჯარიმა.

ცოდნა, ალღო, გამჭრიახობა, სამართლიანობა და მოსამართლის სხვა მრავალი ადამიანური თვისება ხელისუფლებაში არავის სჭირდება. ბადრი შონიასი და ლევან მურუსიძის მსგავსი მოსამართლეები იმიტომ ჰყავთ, რომ ბნელ ოთახში მოაძებნინონ შავი კატა მაშინაც კი, როცა ის იქ არ იმყოფება. ასეთი კატა ჩაბნელებულ მცხეთაში შპს „ბექანასი“ აღმოჩნდა, რომელიც ვიღაცის ინტერესის სფეროში მოექცა.

მცხეთის რაიონულ სასამართლოში საქმეზე ან 4-ა/131-18 გამწესებული იყო მოსამართლე **დავით ახალბედაშვილი**. არ ვიცი, პირველი სხდომა რატომ ჩაატარა მოსამართლე **ბადრი შონიამ**. ადმინისტრაციული სახდელის დადების საკითხი იხილებოდა და არავის დაუდგენია, სამართალდამრღვევი ვინ იყო. გარემოს დაცვითი ზედამხედველობის წარმომადგენელმა მის ხელთ არსებულ დოკუმენტებთან ერთად ექსკავატორის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი სასამართლოში არ წარადგინა, რითიც ხელი შეუწყო მოსამართლეს, კანონიერი გადაწყვეტილება არ მიეღო და ექსკავატორის კონფისკაცია არ მოეხდინა. ეს სიკეთე კი არა, მოსამართლისა და ზედამხედველობის სამსახურის მიერ ერთობლივად დაგებული მახე იყო. მოსამართლემ შპს „ბექანასი“-ს დირექტორს კონსტანტინე სარდლიშვილს ჰკითხა, დალუქული ტექნიკა რომ დაგიბრუნოთ, ჯარიმის სახით ათას ლარს გადაიხდითო? იმ ზარალს, რაც ტექნიკის დალუქვით გვადგებოდა, ათასი ლარის გადახდა ვამჯობინეთ და დავთანხმდით. დადგენილებით 1 კუბ.მ ქვიშა-ხრეშის არალიცენზირებულ ადგილას ამოღებისთვის ჯარიმა დაგვეკისრა და იმავე დადგენილებით დაგვიბრუნდა ტექნიკა. მახეც ეს იყო. ჯარიმა გადავიხადეთ და როგორც დადგენილება მოითხოვდა, ქვითარი წარვადგინეთ სასამართლოში. გასაჩივრების ვადის ბოლო დღეს ზედამხედველობის სამსახურმა სასამართლოს დადგენილება გასაჩივრა. ექსკავატორის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი ახალ გარემოებად წარმოადგინა და ტექნიკის კონფისკაცია მოითხოვა. სააპელაციო სასამართლომ საქმე ისევ მცხეთის სასამართლოში დააბრუნა. პროცესს ამჯერად მოსამართლე **დავით ახალბედაშვილი** უძღვებოდა, რომელმაც ჯარიმის გადახდის ფაქტი ჩვენ მიერ სამართალდარღვევის ფაქტად აღიარა და აღასრულა კოდექსის 57-ე პრიმა მუხლი და მიიღო ექსკავატორის კონფისკაციის დადგენილება. შეგახსენებთ, რომ სასამართლო პროცესები მიდიოდა 1 კუბ.მ ქვიშა-ხრეშის მოპოვების გამო, რომლის ღირებულებაც 20 თეთრია. სასამართლომ კი 54000 დოლარად შეძენილი ექსკავატორიც წაგვართვა და ფულადი ჯარიმაც გადაგვახდევინა. სააპელაციო სასამართლომ, რომელსაც საჩივრით მივმართეთ, საქმე არსებითად არც განიხილა. მოსამართლემ **ლევან მურუსიძემ** მცხეთის სასამართლოს დადგენილება ძალაში დატოვა. შვიდ თვეზე მეტია, ორივე წარმოება გაჩერებულია.

ო.ტ.: — ბატონო ჯუმბერ, რა მოხდებოდა, თუ მოსამართლე ბადრი შონია ექსკავატორის საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტს მოითხოვდა; დოკუმენტი ხომ თქვენც გქონდათ და გარემოს დაცვითი ზედამხედველობის სამსახურსაც?

ჯ.ს.: — მოსამართლე ბადრი შონია იძულებული იქნებოდა, პირველივე სხდომაზე ექსკავატორის კონფისკაციის დადგენილება მხოლოდ იმიტომ მიეღო, რომ ექსკავატორი შპს „ბექანასი“-ს საკუთრება იყო. ამ შემთხვევაში ჯარიმას ჩვენ არ გადავიხდიდით და სამართალდარღვევის ირიბი აღიარებაც არ ექნებოდათ. რა თქმა უნდა, ასეთ დადგენილებას გავასაჩივრებდით და სამართალდამრღვევის დადგენას მოვითხოვდი, რაც მათ ინტერესში არ იყო.

მართალია, ტექნიკა დალუქული და წარმოება გაჩერებული იქნებოდა, მაგრამ მოტყუებულები და დამცირებულები მაინც არ დავრჩებოდით.

ხელისუფლება ვერ ახერხებს მას მიტმასნილი კორუმპირებული ნაძირალები ჩამოიცილოს; იცავენ ასობით კორუმპირებულს და ათიათასობით მხარდამჭერს კარგავენ. ვისაც ფულის კეთება უნდა, წავიდეს ბიზნესში. ხელისუფლებაში ფულის მკეთებელი ყველაზე მკაცრად უნდა დაისაჯოს. ქვეყანა ისეთ დღეში ჩააგდეს, ვფიქრობ, პოლიტიკოსებს ფულის კეთების მეტი ინტერესი არ გააჩნიათ.

და ბოლოს, მოსამართლე ბადრი შონიამ, სასამართლო პროცესზე კოდექსის 57-ე პრიმა მუხლის უსამართლობით გამოწვეული ჩემი აღშფოთებისას მითხრა — რაც ერი, ის ბერიო. ვერ დაგეთანხმებით, ბატონო ბადრი, ჩემი ერის წარსულით, დიდი კულტურით, სპორტული მიღწევებით, მწერლობით, ხელოვნებისა და მეცნიერების მრავალ დარგში წარმატებებით, მსოფლიოს წინაშე ამაყი ვარ და ვისიც მრცხვენია, პოლიტიკოსები და მოსამართლეები არიან.

ესაუბრა
ოთარ ტურაბელიძე

„მაოხრებელი გზირი“ და ბრუკლინ-ბრიუსელის რევოლუციური კაკაფონია!

მიშა „მაოხრებელი გზირის“ მისიას ისევ ასრულებს – საარჩევნო რევოლუციური აღტკინება ახლა **„ემიგრანტთა რევოლუციით“** უნდა ჩაანაცვლოს!

სახუმარო საქმე სულაც არ არის – **კაცი, რომელიც 9 წელიწადი „ანგელოზებს“ უფრთხობდა საკუთარ ხალხს და დღეს გასამართლებული და ინტერპოლით ძებნილია, „ქართველთა მსოფლიო კონგრესს“ უკეთებს ორგანიზებას, რის შემდეგაც „ემიგრანტთა რევოლუციით“ იმუქრება (ყოველ შემთხვევაში, ასეთი „სუნი“ ასდის)!!!**

ლოზუნგიც შესაფერისია: **„ერთად სახლში“**. ნებისმიერ ქართველს, რაგინდარა მიზეზებით გადახვეწილს, საკუთარ სამშობლოში დაბრუნებას ვინ დაუშლის, მაგრამ ლოზუნგი მაინც ცოტა საჩოთიროდ მეჩვენება: ვისთან ერთად - სახლში? **გასამართლებულ და ფორმალურად ძებნილ ექსპრეზიდენტ სააკაშვილთან ერთად, თუ ემიგრანტებმა პირი შეკრეს, ერთმანეთში განსხეულდნენ და სამშობლოს საშველად მოდიან?!**

ღმერთმა ქნას, ასე იყოს, მაგრამ ვაი, რომ ასე არ არის!

ცოტა არ იყოს, ყალბი ღიმილისა და ემოციების ფონზე არცთუ ისე საამო სანახავი იყო ბრუკლინში **მიხეილ სააკაშვილის** შეხვედრა ე.წ. **„ნაციონალ“** მხარდამჭერებთან, რომლებსაც, ეტყობა, ექსპრეზიდენტი სააკაშვილი ახლაც პრეზიდენტი ჰგონიათ!

ეგონოთ, ეგ მათი ფსიქიკური მდგომარეობის პრობლემაა, მაგრამ, გული უფრო იმაზე მწყდება, რომ ვერ აცნობიერებენ, თუ რა ავანტიურაში აპირებენ ცხვირის ჩაყოფას და რამდენად შეუწყობს ხელს მათი გულუბრყვილობა ისედაც გახლეჩილ ქართველებს შორის სიტუაციის კიდევ უფრო დამძიმებას.

მოდით, დავსვათ კითხვა: რას ნიშნავს „ერთად სახლში“ – მიშასთან ერთად?! კი მაგრამ, რა შუაშია საქართველოდან გაქცეული ექსპრეზიდენტი ემიგრანტების დაბრუნებასთან?! ეს რომ ნამდვილი პროვოკაციაა, საკამათოდ ალბათ არავის ეჩვენება...

ხშირად მითქვამს და კიდევ ვიმეორებ: ქვეყნიდან იძულებით გადახვეწილი თუ საკუთარი ინტელექტუალური რესურსების რეალიზებისთვის ნებაყოფლობით გასული ქართველები **„ოქროს რეზერვია“** საქართველოსთვის – **მათ მხრებზე იდგა და დღესაც დგას ქვეყანა. გასაგებია ისიც, რა დამამცირებელ სიტუაციაში უხდება ემიგრანტთა უმრავლესობას (შრომით მიგრანტებს ვგულისხმობ) გროშების შოვნა და ამ გროშებით საკუთარი თავისა და ოჯახის წევრ-ახლობლების შენახვა-დაპურება!**

თუმცა, შრომითი მიგრანტები არა მარტო „ოქროს ფონდია“, არამედ, სერიოზული რესურსია პოლიტიკის თვალსაზრისითაც. ანალიზი ცხადყოფს, რომ ვიდრე მათი საარჩევნო ხმები ხელისუფლებას უდევს ჯიბეში, „ხავერდოვანი რევოლუციის“ გარეშე დღევანდელი ხელისუფლების შეცვლა გაჭირდება! მეტიც, ვიდრე შრომით მიგრანტებს თუ სხვადასხვა მიზეზით საქართველოდან გასულ ემიგრანტებს შეზღუდული აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ზოგადად, არჩევნებს თითქმის არანაირი აზრი არა აქვს!!!

დასკვნა მარტივია: **ყველა სახელმწიფოში უნდა გაიხსნას საარჩევნო ყუთები და ემიგრანტებს უნდა მიეცეთ კონსტიტუციით გარანტირებული (არჩევნებში მონაწილეობის) უფლება, ან ისინი (არჩევნების პერიოდში მაინც) უნდა დაბრუნდნენ საქართველოში - საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას მათი არჩევნებში მონაწილეობის გარეშე იდეალური საარჩევნო კანონიც არ (ვერ) უშველის!**

ეს კარგად იცოდა ყოფილმა და იცის დღევანდელმა ხელისუფლებამაც – **სწორედ ამიტომ აიძულეს საქართველოს პატრიარქი, მოეწოდებინა საკუთარი სულიერი შვილებისთვის (შრომითი მიგრანტებისთვის) - არ დაბრუნებულიყვნენ საქართველოში! არადა, ეს მაშინ, როცა რამდენიმე თვით ადრე მისი უწმინდესობა იგივე მიგრანტებს პირიქით მოუწოდებდა – დაბრუნდით საკუთარ სამშობლოში, თორემ წმინდა მარიამ ღვთისმშობელი გაგვინაწყენდებაო!**

მაშინ ცოტამ თუ მიაქცია ყურადღება პატრიარქის იძულებით სულიერ მეტამორფოზას.

მაინც, რატომ არ აწყობს ხელისუფლებას შრომითი მიგრანტების საქართველოში დაბრუნება?

ამას საარჩევნო პროცესში მონაწილეობასთან ერთად სხვა, არანაკლებ სახიფათო (ხელისუფლებისთვის) დატვირთვა გააჩნია – მათი უმრავლესობა უმუშევრობის გამო ისევ იგივე დილემის წინაშე დადგება, რამაც ისინი თავის დროზე აიძულა, გადახვეწილიყვნენ საკუთარი ქვეყნიდან.

სად არის ახალი სამუშაო ადგილები?

მეორეც, ევროპა-ამერიკა მოვლილი ქართველები პოლიტიკურად, ალბათ, დიდი თავის ტკივილი გახდება ხელისუფლებისთვის – მათ სხვა მოთხოვნები შეიძლება გაუჩნდეთ, რომელსაც ხელისუფლება ვერ გაუმკლავდება!

დიახ, შრომით მიგრანტთა მასობრივი დაბრუნება გახდება სწორედ ის „ამძრავი ღვედი“, რომელიც ადგილზე დარჩენილ მიძინებულ თანამოქალაქეებსაც გამოაღვიძებს.

ნიშანდობლივია ისიც, რომ შრომით მიგრანტებს დღესაც შეუძლიათ სამშობლოში დაბრუნების გარეშე შეუწყონ ხელი საქართველოში ახალი პოლიტიკური ძალის ფორმირებას (თუ რას ვგულისხმობ, ცალკე სტატიაში ვიტყვი) და არსებული პოლიტიკური სიტუაციის რადიკალურად შეცვლას, თუმცა, ჯერ-ჯერობით ამ თვალსაზრისით სერიოზული ნაბიჯები არ გადამდგარა.

ახლა, რაც შეეხება ექსპრეზიდენტ **სააკაშვილს** და მის „ნაციონალ“ ეგზალტირებულ მხარდამჭერებს საქართველოს ფარგლებს გარეთ. თუ რეალურად შევაფასებთ, მათ აღტკინებას რადიკალური გარდატეხის შეტანა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში არ შეუძლია – შესაბამისად, ვერც რევოლუციას მოახდენენ...

ჯერ ერთი, როცა **„ქართველთა მსოფლიო კონგრესი“** ტარდება, როგორც წესი, მასში უნდა მონაწილეობდნენ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მცხოვრებ ქართველთა წარმომადგენლები, რომლებიც დელეგატების სახით აირჩევიან სხვადასხვა დიასპორებისა და ჯგუფების მიერ. ამასთან, კონგრესში მონაწილეობა აუცილებლად უნდა მიიღონ საქართველოში მცხოვრებმა ქართველებმაც (დელეგატების სახით).

მეორეც, ქართველთა მსოფლიო კონგრესი აუცილებლად უნდა ჩატარდეს საქართველოს დედაქალაქში.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ყველა ეს პირობა დარღვეულია – ამჯერად **„მსოფლიო ქართველებად“** მხოლოდ უცხოეთში მცხოვრები მიშას თანამოაზრეები და მის მიერ ეგზალტირებული ქართველები მოიაზრებიან!

ამდენად, 10 თებერვალს ბრუკლინში დაგეგმილ „ქართველთა მსოფლიო კონგრესსაც“ მხოლოდ „ორთქლის“ გამოშვების ფუნქცია ენიჭება...

ძნელი სათქმელია, რამდენად ორგანიზებულად მოახერხებენ ისინი **„ერთად სახლში“** დაბრუნებას მიშასთან ერთად, მაგრამ ძებნილი ექსპრეზიდენტი არ ისვენებს და ისევ „მაოხრებელი გზირის“ ამპლუაში რომ გვევლინება, ფაქტია...

ქედან გამომდინარე, ამ ინიციატივის (ავანტიურიზმის) მიზანი, ერთი შეხედვით, მოსალოდნელი **„ემიგრანტული რევოლუციაა“,** მაგრამ ნაკლებად განხორციელებადი. თუმცა, **ამის საშუალებას, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მიშას და მის მიერ ეგზალტირებულ ემიგრანტთა ნაწილს, ადგილზე დარჩენილი ქართველები არ მისცემენ, რადგან, დღევანდელი ხელისუფლებით უკმაყოფილება არ ნიშნავს თეთრ ცხენზე ამხედრებული სააკაშვილის ტრიუმფით დაბრუნებას საქართველოში!**

სხვათა შორის, ეს იდეა (ქართველთა მსოფლიო კონგრესის ჩატარება) რომ მოპარულია, შემიძლია, ერთი ფაქტით დავადასტურო: მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფს **„გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“** ფარგლებში, ბატონ **თეიმურაზ შაშიაშვილის** ხელმძღვანელობით თბილისში მართლაც აქვს დაგეგმილი ასეთი კონგრესის ჩატარება, ოღონდ, ცოტა მოგვიანებით - მას შემდეგ, როცა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და დიდ ქალაქებში ჩატარდება კონგრესები იქ მცხოვრები ქართველების მონაწილეობით და აირჩევიან დელეგატები „ქართველთა მსოფლიო კონგრესში“ მონაწილეობის მისაღებად. ეს იქნება წინასწარ დაგეგმილ-გააზრებული ღონისძიება, რომელსაც სულ სხვა დატვირთვა ექნება, ვიდრე, სააკაშვილის მიერ ჩაფიქრებული „ემიგრანტთა რევოლუციაა“.

ასე რომ, როგორც ქუხს, ისე არ წვიმს – დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ისეთივე ავანტიურაა, როგორც საპრეზიდენტო არჩევნების პროცესში სააკაშვილის მიერ დაანონსებული მოსალოდნელი რევოლუცია იყო.

მოკლედ, გვათამაშებენ და ჩვენც უიმედობა, ან შიში გვიპყრობს, ან აგონიაში ვვარდებით.

ზაურ ნაჭყებია

სატრანსპორტო ბლოკადისა და დაცარიელებული დახლების კვირა

რუსეთსა და მის მიერ ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონს შორის სატრანსპორტო კავშირი მერვე დღეა, შეწყვეტილია. მაღაზიებში პროდუქტის მარაგი ილევა, დახლები საგრძნობლადაა დაცარიელებული, იგრძნობა პირველადი მოხმარების საქონლისა და პროდუქციის, მათ შორის რძის ნაწარმის, ხორცის ნახევარფაბრიკატების, ბავშვთა კვებისა და სხვა იმ პროდუქტების ნაკლებობა, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციიდან შედის, – იუწყება ოსური სააგენტო „რესი“.

მისივე ინფორმაციით, ცხინვალის განაპირა რაიონებში ეს პროდუქტი მცირე რაოდენობით ჯერ კიდევ შემორჩა, ცენტრში კი დახლები უკვე მეოთხე დღეა, ცარიელია.

„მაღაზიების მფლობელების განცხადებით, მათმა უმრავლესობამ მარაგი ტრასის ჩაკეტვამდე შეიძინა, თუმცა მალფუჭებად პროდუქტებს ეს გასაგები მიზეზების გამო არ ეხება, ამიტომაც დახლებიდან პირველ რიგში სწორედ ამ ტიპის პროდუქცია გაქრა. პრაქტიკულად ამოიწურა კვერცხის, ქათმისა და სხვა ხორცეულის მარაგი. დაცარიელებულია ხილ-ბოსტნეულის მაღაზიების დახლებიც. ამ პროდუქციას ვერც საბითუმო ბაზარ „ტეკში“ იშოვით, საქონელი უკვე მეხუთე დღეა, გამოელიათ. მეწარმეები შიშობენ, რომ თუ ტრასა უახლოეს დღეებში არ გაიხსნება, სიტუაცია რესპუბლიკაში კრიტიკული გახდება“ – წერს „რესი“.

მისივე ინფორმაციით, ერთადერთი, რითაც ოკუპირებული რეგიონი ჯერჯერობით საკმარისადაა მომარაგებული, ფქვილი და საწვავ-საპოხი მასალებია.

როგორც სააგენტოს პურ-ფუნთუშეულის საწარმოს დირექტორმა **ვადიმ ცხოვრებოვმა** განუცხადა, ჯერჯერობით მათ ფქვილისა და სხვა აუცილებელი ინგრედიენტების საკმარისი მარაგი გააჩნიათ და ამ მხრივ უახლოესი მომავლისთვის რაიმე საფრთხე არ არსებობს.

ანალოგიურ განცხადებას აკეთებს დე ფაქტო სახელმწიფო საწარმო „იუგოსეტნეფტპროდუქტის“ ხელმძღვანელობა.

სატრანსპორტო კავშირის აღდგენას ელიან ცხინვალის რეგიონში მყოფი ვიზიტორებიც, რომლებიც საახალწლოდ ოკუპირებულ რეგიონში მცხოვრებ ნათესავებსა და ახლობლებს ესტუმრნენ.

ცნობისთვის: ტრანსკავკასიური ავტომაგისტრალი ერთადერთი გზაა, რომელიც ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონს რუსეთთან აკავშირებს. 15 იანვრიდან იგი ორივე მიმართულებით ჩაიკეტა. მიზეზი კლიმატური პირობებია.

როგორც დე ფაქტო საგზაო სამმართველო „ჩრდილოეთ კავკასიის“ ფილიალის ხელმძღვანელი ჩერმენ გუბაევი აცხადებს, „ტრანსკამი“ სულ მცირე, კიდევ ორი დღე-ღამის განმავლობაში იქნება ჩაკეტილი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ 17-ᲯᲔᲠ ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲦᲐᲠᲘᲑᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲡ

ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ **მდიდარი ფენის 10%-ის შემოსავლები 17-ჯერ აღემატება ღარიბი მოსახლეობის 10%-ის შემოსავლებს. ცხადია, მდიდრებსა და ღარიბებს შორის განსხვავება არის და იქნება, მთავარია, დროთა განმავლობაში ეს განსხვავება შემცირდეს — ასე აფასებს სტატისტიკოსი სოსო არჩვაძე სოციალური უთანასწორობის საკითხს საქართველოში.**

საქსტატის მონაცემებით **მოსახლეობის 21.9 % სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევითაა.**

საქართველოში ჯინის კოეფიციენტი, რომელიც მოსახლეობის შემოსავლებს შორის უთანასწორობას ზომავს 41-ია და 2015 წელთან შედარებით, სოციალური უთანასწორობის ზრდაზე მიუთითებს. ამასთან სოციალური უთანასწორობის მაჩვენებლით საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის მოწინავე პოზიციაზეა.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, **საქართველოში საშუალო ფენა 7%-ს არ აღემატება, 32% ღარიბია, 37% — ზომიერად ღარიბი, 24% კი მოწყვლადი ჯგუფია.**

საქართველოში ჩატარებული ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევის მიხედვით, 2017 წლის მონაცემებით, საშუალო კლასის რაოდენობა საზოგადოების 25%-ზე მეტია.

ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია „OVFAM“-ის კვლევის მიხედვით კი, **საქართველოში ოჯახების 60 %-ზე მეტი, სურსათს ნასესხები ფულით ყიდულობს.**

სოსო არჩვაძის შეფასებით, რა კრიტერიუმითაც არ უნდა მივუდგეთ, ქვეყანაში საშუალო ფენა ძალიან მცირეა. მაღალი სოციალური და ქონებრივი დიფერენცირება კი ქვეყნის განვითარებას აფერხებს.

„როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსახლეობის მდიდარი ფენის 10%-ის შემოსავლები 17-ჯერ აღემატება ღარიბი მოსახლეობის 10%-ის შემოსავლებს. აქ საუბარია ფულად და არაფულად, ანუ ნატურალური ფორმით არსებულ შემოსავლებზე. თუ მხოლოდ ფულად შემოსავლებს განვიხილავთ, ეს განსხვავება კიდევ უფრო მეტია.

სტატისტიკა ნელ-ნელა უმჯობესდება, თუმცა ეს არ ნიშნავს რომ პრობლემის სიმწვავე იხსნება. რეალურად დღეს-დღეობით საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტის იმ დონისთვის, რომელიც საბჭოთა კავშირში იყო, არ მიუღწევია. გარდა ამისა,საბჭოთა პერიოდში სხვაობა მდიდრებისა და ღარიბების შემოსავლებს შორის 4-5-ჯერ თუ განსხვავდებოდა, შესაბამისად ამ პერიოდთან შედარებით ის უთანასწორობა, რაც დღეს გვაქვს, კიდევ უფრო მწვავეა,“ — განაცხადა სოსო არჩვაძემ.

მისივე აზრით, ქვეყანაში საშუალო ფენის ფორმირებისთვის ბიზნესის განვითარება და სახელმწიფო საკუთრების კერძო მფლობელობაში გადასვლაა საჭირო.

„ქვეყანაში საშუალო ფენის ჩამოყალიბებისა და კეთილდღეობის ზრდისთვის საჭიროა სამეწარმეო კულტურის განვითარება, სამუშაო ადგილების შექმნა და განსახელმწიფოებრიობა, ანუ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული რესურსების მოსახლეობის საკუთრებაში გადასვლა.მიუხედავად იმისა, რომ უკვე სამი ათწლეულია, საბაზრო ეკონომიკაზე გადავედით, ჯერ კიდევ ბევრ აქტივს, მათ შორის აგრარულ სექტორში, სახელმწიფო ფლობს და მოსახლეობაში საკუთრების განცდა დაბალ დონეზეა. რა თქმა უნდა, ეს პროცესი ინკლუზიური განვითარების პრინციპების მიხედვით უნდა წარიმართოს და სახელმწიფო საკუთრება მცირე ჯგუფის ხელში კი არა, მრავალრიცხოვან მესაკუთრეთა ჯგუფის ხელში გადავიდეს,“ — განაცხადა სოსო არჩვაძემ.

არჩვაძის განმარტებით, სიტუაციის გამოსასწორებლად გარკვეული პოზიტიური ცვლილებები სახეზეა, თუმცა კვლავ მრავალი რამაა შესაცვლელი, მათ შორის საგადასახადო სისტემა.

„სახელმწიფოს მხრიდან მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, გადასახადების ესტონური მოდელი ძალიან კარგია, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესის განვითარებას შეუქცევადი ხასიათი მიეცეს და ეს შესაბამის საგადასახადო კანონმდებლობაში აისახოს.

საქართველოში აღმასრულებელი ხელისუფლება მოკლებულია აქტიური ფისკალური საგადასახადო მანევრების განხორციელებას, კანონებიდან და საკონსტიტუციო ნორმიდან გამომდინარე, მთელი დატვირთვა მოდის ისეთი ტიპის გადასახადებზე, როგორიცაა აქციზი. აქციზის ტვირთი მოსახლეობაზე მეტ-ნაკლებად თანაბრად ნაწილდება, ხოლო პროგრესული გადასახადები შემოსავალსა და კაპიტალზე საზოგადოების მაღალშემოსავლიან ფენაზეა ორიენტირებული. თუ ეს მექანიზმი არ შეიცვალა, ჩვენ დავრჩებით მოწინავე ქვეყნად შემოსავლის დიფერენცირების კუთხით მდიდრებსა და ღარიბებს შორის,“ — აღნიშნა სოსო არჩვაძემ.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტების მხრიდან აქტიური განხილვის პარალელურად, სოციალური ფონის გაუარესება, უმუშევრობის ზრდა და ქვეყანაში საშუალო ფენის სიმცირე პოლიტიკურ წრეებშიც აღიარებული პრობლემებია და ხელისუფლების წარმომადგენლები, სწორედ სიღარიბეს ასახელებენ ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად.

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲢᲘᲢᲕᲘᲜᲘᲫᲔ

ᲙᲐᲮᲔᲚᲘ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲘᲡ ᲗᲐᲒᲕᲔᲑᲘ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲘᲐᲜ

ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡᲐ **და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ნაწილი, რომელსაც მარცვლეული კულტურა მოჰყავს, შესაძლოა მოსავლის გარეშე დარჩეს. კახეთის ამ მხარეში მომრავლდა მინდვრის თაგვი, რომელიც მარცვლეულ კულტურებს ანადგურებს. სპეციალისტები მღრღნელების მომრავლებას ზამთრისთვის უჩვეულო სითბოთი ხსნიან. მინდვრის თაგვი განსაკუთრებით მომრავლებულია შირაქისა და ტარიბანის ველებზე.**

სახელმწიფოსგან ქიმიკატებით დახმარებას ითხოვენ ძირითადად ის გლეხები, რომლებსაც შედარებით მცირე ნაკვეთები აქვთ და მათი მეურნეობა დიდად მომგებიანი არ არის. ფერმერები ამბობენ, რომ მცირე შემოსავლის გამო ქიმიური პრეპარატების შეძენა გაუჭირდებათ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები გლეხები აღნიშნავენ, რომ მინდვრის თაგვი პრობლემებს ყოველ წელს უქმნით, თუმცა წელს განსაკუთრებით რთული ვითარებაა. გლეხების ინფორმაციით, 2015 წლამდე სურსათის ეროვნული სააგენტო ურიგებდა თუთიის ფოსფიდს, რომელსაც მიწის ნაკვეთებში შლიდნენ და თაგვი ვეღარ მრავლდებოდა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი გვეუბნება, რომ გასულ წლებში სახელმწიფო ფერმერებს თაგვის გამრავლების საწინააღმდეგო ქიმიკატს უფასოდ იმიტომ ურიგებდა, რომ მაშინ პრეპარატი საქართველოში არ იყიდებოდა და განსაკუთრებით 2015 წელს შექმნილი რთული ვითარების გამო, სახელმწიფომ თავად შეიძინა. მერის ინფორმაციით, დღეს მსგავსი დეფიციტი არ არსებობს და შესაბამისი ქიმიკატები არცთუ ძვირია, ამიტომ მოსახლეობას მათი შეძენისკენ მოუწოდებს.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი შალვა თეთვაძე, რომელიც ათეულობით წელია, დედოფლისწყაროში მუშაობს, მინდვრის თაგვის მომრავლებას იმით ხსნის, რომ კახეთის რეგიონში თოვლი არ მოსულა, ჰაერის ტემპერატურა კი პლუს 7-10 გრადუსს აღწევს. ეს კი თაგვების მომრავლებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. შალვა თეთვაძის განმარტებითვე, აუცილებელია მასობრივად შეწამვლა, რადგან თუ ქიმიურ პრეპარატებს გლეხების მხოლოდ ნაწილი გამოიყენებს, ეს შედეგს არ გამოიღებს და მღრღნელები ერთი ადგილიდან სხვაგან გადაინაცვლებენ. სპეციალისტები ამბობენ, რომ თუ სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში მინდვრები დროულად არ შეიწამლება, გაზაფხულზე მინდვრის თაგვების კიდევ ერთი თაობა გაჩნდება და კიდევ უფრო გამრავლდება.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲚᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲘᲡᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲐᲕᲢᲝᲤᲐᲠᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ **მოსახლეობის თხოვნით, ქეთევან წამებულის №76 ბ და №82 კორპუსებს შორის არსებული სარეაბილიტაციო სკვერის ტერიტორიაზე, ცხაურის ტიპის ოთხი ავტოფარეხის დემონტაჟი განხორციელდა.**

აღნიშნული კონსტრუქციები სკვერის მოწყობისა და განახლების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა. ავტოფარეხებისგან ეზოს გათავისუფლების შემდეგ, ტერიტორია დასუფთავდება, ხოლო მის ნაცვლად, გამგეობა რეკრეაციული სივრცის მოწყობას დაიწყებს. ავტოფარეხების დემონტაჟის პროცესს ისნის რაიონის გამგებელი კახა ლაბუჩიძე და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ილია ჯიშკარიანი გაეცნენ. გამგებელი და დეპუტატი ადგილობრივ მცხოვრებლებს შეხვდნენ და მათი საჭიროებებიდან გამომდინარე, ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაგეგმეს.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-ᲒᲐᲩᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲔᲚ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲒᲖᲐᲒᲐᲛᲢᲐᲠᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, თბილისი-ველი-გაჩიანი-რუსთავის საავტომობილო გზის მე-8 კმ-ზე არსებული რკინიგზის გზაგამტარის რეაბილიტაცია დაასრულა.**

ეს გზაგამტარი, გასული საუკუნის 80-იან წლებშია აგებული. ხიდი დაზიანებული იყო და არ შეესაბამებოდა გაზრდილ სატრანსპორტო მოთხოვნებს. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისმა ღირებულებამ 984 200 ლარი შეადგინა. სამუშაოები 2018 წლის მაისში დაიწყო და დეკემბერში დასრულდა.

ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲩᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲐᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ **პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ მხარდაჭერით კახეთის რეგიონში, ქალაქ საგარეჯოში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მაღალტექნოლოგიური ჩირის საწარმო აშენდება.**

პროექტის საინვესტიციო ღირებულება 1 000 000 აშშ დოლარს აღემატება. ახალი საწარმოს ასაშენებლად შპს „ჯეო-ორგანიკს“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან საგარეჯოში მდებარე 36 785კვ.მ. სახელმწიფო ქონება გადაეცა.

საწარმო წელიწადში მინიმუმ 120 ტონა პროდუქციის წარმოებას შეძლებს და მზა პროდუქციის რეალიზაციას როგორც ადგილობრივ, ასევე ევროპის ქვეყნების ბაზარზე მოახდენს. აღსანიშნავია, რომ კომპანია სამომავლოდ ხილის ჩიპსის წარმოებასაც გეგმავს.

მაგთი MAGTI

ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

დათო ევგენიძე:

„ეს ლექსები და ეს მუსიკა მე არ მეკუთვნის, მათ ვილაც თხზავს და უკვე მზას მიგზავნის“

ანუ დათო ევგენიძე დათო ევგენიძის შესახებ

ქართული კულტურის მრავალფეროვნების, ზოგჯერ მოულოდნელი ელფერების დიდი გულისხმევით წარმოჩენას კვლავაც განაგრძობს სამამულო სატელეკომუნიკაციო სფეროს ფლაგმანი მაგთიკომი. ამ ჯერზე მისი ძალისხმევით გამოიცა ცნობილი კომპოზიტორის დათო ევგენიძის ლექსთა კრებული.

ბატონი დათო ევგენიძე თანამედროვე ქართული მუსიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო, ხალხის საყვარელი შემოქმედია, თუმცა კი ასევე არაჩვეულებრივი პოეტიცაა, რაშიც მკითხველი თავად დარწმუნდება მის ლექსთა მესამე კრებულის გაცნობისას. სამი დამოკიდებული ტომისგან შედგენილ ამ შესანიშნავ ქმნილებათა კრებულს ბატონმა დათო ევგენიძემ „დე“ დაარქვა. **პირველ ტომს „ხმოვანი და თანხმოვანი“ ეწოდება, მეორეს –„faceბუკი“, მესამეს – „BANDენა“.**

გავიმეორებ, რომ კომპოზიტორის ლექსთა კრებული მაგთიკომის თანადგომით გამოიცა, რომელიც სამამულო კულტურის განვითარებისა და ყოველმხრივ წარმოჩენის უკეთილშობილეს საქმეს დიდი გულისხმევით კვლავაც წარმატებულად განაგრძობს.

ლექსთა კრებულის „დე“-ს გამოცემიდან რამდენიმე დღეში ბატონ დათოს შეხვედრის თხოვნით რომ მივმართე, შინ მიმიწვია, სადაც ჩვენი მეტად საგულისხმო საუბარი შედგა. სიმართლე გითხრათ, წინდაწინ კითხვები საგანგებოდ არ მომიმზადებია, თავდაპირველად მასპინძელს მხოლოდ ერთი რამ ვკითხე:

– პირადად მე, აქამდე კომპოზიტორად გიცნობდით, რომელიც ზოგჯერ თავადაც მღერის. ახლა კი აღმოვაჩინე, რომ პოეტიც ბრძანდებით. კიდევ რა გიზიდავთ? მოკლედ მოგმართავთ: თუ შეიძლება, დათო ევგენიძემ თავად მოგვითხროს დათო ევგენიძის შესახებ.

– თავდაპირველად, ახალი წელი და ყველა დღესასწაული მინდა მივულოცო თქვენი გაზეთის მკითხველებსა და ერთიანად საქართველოს! ვისურვებდი, რომ 2019 სიკეთის, ბედნიერებისა და გამთლიანება-გაერთიანების წელი ყოფილიყოს, იმიტომ, რომ პატარა ერი ვართ და ჩვენი ერთმანეთის დაპირისპირება ყველა მტრის საქმეს აკეთებს, ერთმანეთის გვერდში დადგომით კი ყველა სიძნელის გადალახვას შევძლებთ.

მე მტკივა ჩემი ქვეყანა და უსაზღვროდ მიყვარს, თავის დროზე თავისუფლად შემეძლო, სურვილისამებრ უცხოეთის რომელ ქვეყანაშიც მოვისურვებდი, იქ წავსულიყავი და საქმე მეკეთებინა, მაგრამ ისეთი ფესვები მაქვს საქართველოში, რომ თუ არა აქ, სხვაგან ჩემი თავი ყლორტს ვერ გამოიტანდა.

რაც შეეხება ჩემ შემოქმედებას, რაც მახსოვს, ხუთი წლის ასაკიდან ვუკრავდი პიანინოზე, რის გამოც მამაჩემი ნერვიულობდა – ბავშვი დროულად მივიყვანოთ ფსიქიატრთანო, რადგან ღამე ვდგებოდი და ვუკრავდი. მაგრამ ბებიაჩემი, ქეთევან მაღლაფერიძე, რომელმაც წიგნიც შემაყვარა, ჩემი შეუვალი დამცველი იყო – ამ ბავშვმა თვითონ იცის, რასაც აკეთებსო...

ბავშვობაში ვხატავდი კიდეც, ჭადრაკს ვთამაშობდი, სხვათა შორის, კარგადაც. ეგ იყო, ჩემგან ნამდვილი მოჭადრაკე მაინც არ დადგებოდა, რადგან ერთი დიდი „ნაკლი“ მქონდა: თუკი მოწინააღმდეგე მომწონდა, მის დამარცხებას არ ვცდილობდი და მოსაგებ პოზიციაშიც კი ყაიმს თავადვე ვთავაზობდი – დასამარცხებლად არ მემეტებოდა...

მერე, ისევ ბავშვობაში, არჩევანი უნდა გამეკეთებინა მუსიკასა და ხატვას შორის. მე მუსიკა ავირჩიე, იმიტომ, რომ როგორც ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი ამბობდა, მუსიკის გარდა ყველა დანარჩენ ხელოვნებას აქვს ჩრდილები – სიტყვას ხატება მოჰყვება, რომელსაც ჩრდილი აქვს, ფერწერას ხომ ჩრდილი თავისთავად ახლავს, ერთადერთი კი, რასაც ჩრდილი არ გააჩნია, ბგერაა – ხმას გრავიტაციაც არა აქვს, პირდაპირ ზეცისკენ მიიმართება.

იმ დროს ამაზე, რა თქმა უნდა, არ მიფიქრია, ამის შეგრძნება ჩემთან მერე და მერე მოვიდა. ლექსებს კი ბავშვობიდანვე ვწერდი.

კრებულში სამი წიგნია – **„ხმოვანი და თანხმოვანი“, „faceბუკი“, „BANDენა“**. მინდა გითხრათ, რომ არ მიყვარს ლექსების სქელტანიანი ტომები – პოეზიის წიგნი კომპაქტური უნდა იყოს, ამიტომაცაა, რომ ახალი კრებული სამ წიგნად დავყავი. „დე“ დედაჩემს ეძღვნება, რომელიც 2017 წლის 28 დეკემბერს დამეღუპა. როცა ლექსებს ვწერდი და ფეისბუქში ვდებდი, ხელს ინიციალებით – დ.ე. – დათო ევგენიძე – ვაწერდი. სადღაც ორ კვირაში დედის გარდაცვალების შემდეგ კი შევამჩნიე, რომ მართალია ლექსებს საკუთარ ინიციალებს ვაწერდი, მაგრამ უკვე უწერტილებოდ. ასე გამოვიდა „დე“. ჩემი კიდევ ერთი უდიდესი ტკივილია დის გარდაცვალება, რომელიც ადრე, 16 წლის ასაკში დამეღუპა, ამდენად, ორივე დარდი ერთ სიტყვაში „დედა“ გაერთიანდა. თან ჩემი ინიციალებიცაა.

„დე...
და დავკარგე...
შენც იქ გაფრინდი
დედა...
თქვენ ახლა ჩემთვის
ერთი სიტყვა ხართ
დე – და“

დე

„faceბუკი“ და „ხმოვანი და თანხმოვანი“ ვიზუალურად ეხმოვანება ჩემს პირველ და მეორე კრებულებს: „საქართველოს ფოსტაც“ ლურჯია და ასევე ღია ყავისფერია „8501 სიტყვა“. ახალი კრებულის მესამე წიგნი კი შავია.

„ვსრულყოფდი“-მეთქი, ვთქვი ერთ დღეს – ამით ვიგულისხმე, რომ ყველაფერი გაერთიანდა. როცა ყოველივე ასე ხდება, სიკვდილიც ახლოს არის, მაგრამ ვიცი, რომ რაღაცები კიდევ გასაკეთებელი მაქვს, ამიტომაც მისი არ მეშინია. ის მეგობარია ჩემი და ხშირადაც ვესაუბრები, როცა მსტუმრობს, ვეუბნები – მაცადე რა, ხომ ვიცი, ჩემ კონცერტებზე მოდიხარ, სად ზიხარ, რომელ რიგში. ჰოდა, თუ აღარ ვიქნები, ხომ მოგწყინდება უჩემობა, ამიტომ, ცოტა ხანი კიდევ მაცადე და ისიც მაცდის. არ ვიცი ვინმეს თუ შესცოდებია ოდესმე სიკვდილი, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მე კი ძალიან მებრალება, იმიტომ, რომ ისიც ხომ უფლის ნებაა, რომ მოვიდეს და წაგიყვანოს, არადა, ეს ყველაზე მძიმე და უმადური დავალების შესრულებაა.

„ხმოვნები და თანხმოვანი“, ქართული პოეზიის სიყვარულითაა შთაგონებული, სადაც დიდი შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი ლექსებია შეტანილი, მისივე ენით დაწერილი. ასევე ვაჟასადმი და გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსები მათი ენითაა დაწერილი. მოკლედ, ვინც მე პოეზია შემაყვარა, იმათ ყაიდაზე დაწერილი ლექსები მივუძღვენი.

ჩემი ლექსების მესამე კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ცნობილ ბიზნესმენსა და ქველმოქმედს, ბატონ გია ჯოხთაბერიძეს. ამის თაობაზე მისთვის საგანგებოდ არ მიმიმართავს – ეს პირადად მისი სურვილით მოხდა და ჩემთვის ნამდვილად სიურპრიზი იყო, როცა მითხრა – მინდა, შენი წიგნი გამოვცეო. მსგავსი რამ ცხოვრებაში ასე უბრალოდ არ ხდება. და მართლაც, დიდი მონდომებითა და სიყვარულით გააკეთა ეს, რაც გამოცემის ხარისხითაც ადვილი შესამჩნევია.

აუცილებლად მინდა ისიც ვთქვა, რომ ჩემი ლექსების მესამე კრებული სახლში 2018 წლის 28 დეკემბერს, დედაჩემის გარდაცვალების ზუსტად ერთი წლისთავზე მომიტანეს, რაც, დამეთანხმებით, ზეცის ნიშანია.

ჩემი ლექსების გამოცემით ბატონ გია ჯოხთაბერიძისთვის უდიდესი მადლიერების გრძნობამ კი ერთი ამოსუნთქვით ეს ლექსი დამაწერინა:

„ლექსებიც ათევენ ღამეს...
ლექსებიც ეტრფიან ცას...
ლექსებიც ტოვებენ მარტოს...
ლექსიც ხომ სიცოცხლეს ჰგავს...
ლექსებსაც სჭირდებათ სახლი...
ეს სახლი წიგნია მათთვის...
ცა გამოგზავნის მეგზურს –
და ის საჭიროდ ჩათვლის...
რომ სახლი აჩუქოს ლექსებს...
სიცოცხლე აჩუქოთ მათ...
და მათი ყოველი სიტყვა...
გადააქციოს ხმად...
მადლობელი ვარ თქვენი...
დღე დაბადებას ჰგავს...
ის, რაც მათოვდა ციდან,
თქვენ დაუბრუნეთ ცას“.

დე

ისიც მინდა ვთქვა, რომ დღესდღეობით ჩვენში ხშირად პრიორიტეტებს არასწორად აყენებენ. მაგალითად, როცა ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმი გაიხსნა და რაც იქ ჩვენ შემოქმედთა ნამუშევრები განთავსდა, ყველა ბატონმა გია ჯოხთაბერიძემ შეიძინა, რაც წმინდა წყლის ქველმოქმედება იყო. ისიც ვიცი, რომ, როცა მხატვრები თავიანთი ნამუშევრის ფასს ლარებით ეუბნებოდნენ, იგი თანხას დოლარებით იხდიდა.

კიდევ ერთხელ მინდა, მადლობა მოვახსენო მას მხარში ამოდგომისთვის!

სამწუხაროდ, დღესდღეობით რატომღაც ხშირად გვავიწყდება მადლობის თქმა, რაც ნამდვილად სამწუხაროა, რადგან მადლიერება უფლის გზავნილებაა და მადლი თუ არა აქვს რამეს, მაშინ მას არც აზრი აქვს.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ამჟამად ვმუშაობ ბალეტზე „ალექსანდრე მაკედონელი“. მინდა, რომ საქართველოს ეკუთვნოდეს. აქედან გამომდინარე, ამჟამად ჩემი მონდომება იმაზეა მიმართული, რომ ბალეტი ჩვენთან დაიდგას.

თავად „ალექსანდრე მაკედონელი“ არ არის სიუჟეტური ნაწარმოები, ესაა მუსიკისა და ცეკვის ენით გადმოცემული მითოლოგიაა, სადაც მიწიერ გმირებთან ერთად, უკვდავი ღმერთებიც მონაწილეობენ. არ მინდა, ღმერთები ადამიანებივით ცეკვავდნენ, ამიტომაც გადაწყდა, რომ უზარმაზარ აფრებზე ვიდეოზე გადაღებული ღმერთები როკავდნენ.

მინდა, ის დრო დადგეს, როცა ვიღაცას ავირჩევთ, მისი საუკეთესო თვისებების გამო ავირჩიოთ და არა ცუდსა და უარეს შორის გავაკეთოთ არჩევანი. საზოგადოება უაღრესად პოლიტიზებულია, რაც სრულიად მიუღებელია. დააკვირდით, ჩვენი ცხოვრებიდან ჭეშმარიტი ვარსკვლავები გაქრნენ, როგორებიც ჩემს ბავშვობასა და ახალგაზრდობაში იყვნენ, ვთქვათ, თეატრის, კინოს, მუსიკის, მწერლობის, მეცნიერების გამორჩეული სახეები. ახლანდელი ვარსკვლავები კი „ერთი სეზონის“ პოლიტიკოსები არიან, რომლებიც უცბად გაურკვევლობიდან წარმოიშვებიან და მერე, უცბად, სადღაც, სრულიად უკვალოდ ქრებიან. ქვეყანა, რომელსაც ჭეშმარიტი ვარსკვლავები არა ჰყავს, პრობლემის წინაშე დგას, ამიტომ ისინი ცის ვარსკვლავების ანარეკლია.

ოთარ ტურაბელიძე

◎ დედაშვილობა

რა გამოულევს ჩემზე სამდურავს!..

პირველად გაახელ თვალებს და იგრძნობ, თანდათან იზრდები და იაზრებ, რომ დედა ყველაზე ძვირფასია თურმე, ჩვენ ყველას ჩვენი ღვთისმშობელი გვყავს, ასეთია დედა ჩემთვის. ბავშვობაში, როდესაც წავიქცეოდი, დედას ვეძახდი, ამ ყველაზე ძლიერი არსების იმედი მქონდა... ახლაც ასეა, არ გავზრდილვარ, დედა ასე თვლის... ისევ პატარა ვგონივარ, ისევ მარიგებს, ისევ არ სძინავს ღამით, როდესაც სახლში არა ვარ. დროა, შვილის პოზიციიდან გამოვიდე, რომ მკითხველო უფრო სწორად გამიგო, რადგანაც არ ვიცი, რამდენად ობიექტური ვიქნები, დედის ნიჭის შეფასებისას, იქნებ რაიმე გამომრჩეს, ანდა მივამატო ან გამოვაკლო, თანაც ცოტა ალბათ გავიზარდე და ჩემი შეხედულება ჩამომიყალიბდა ყველაფრის მიმართ...თუმცა ჩემთვის მიუღებელია, ნიჭის არდანახვა და არაღიარება, რაც ხშირად გვჩვევია ქართველებს!

განგება ხომ ხშირად, ეს ის მდგომარეობაა, როდესაც ღმერთს, უბრალოდ არ სურს საკუთარი ვინაობის გამხელა, ჰოდა, განგებამ ლექსის წერის ნიჭიც უბოძა და თეატრში დიდ სცენაზე თამაშისაც, ოღონდ მრავალწახნაგოვნად, მსახიობი, პოეტი, ჟურნალისტი, ერთად ამდენი შეძლო და კიდევ ორი ვაჟკაცი აღუზარდო ქვეყანას...უნდა ითქვას, რომ ძალიან საინტერესოა ასევე მისი ყოველდღიური საქმიანობა, ბისერში „ხეების“ ქსოვა, ხელნაკეთი თოჯინები და მრავალფეროვანი მასალისგან გაკეთებული, ძალიან ბევრი ხელოვნების ნიმუში. საინტერესოა ისიც, რომ ძალიან ბევრ ანტიკვარულ, გამოუსადეგარ ნივთს თავისი დანიშნულება მისცა, ახალი სიცოცხლე აჩუქა.

აჰა, 55 საიუბილეო წელიც მოვიდა, შემოეპარა ჭაღარა, თუმცა დედას რა დააბერებს! არასოდეს ბერდებიან დედები! არასოდეს უყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი, მეტიც, არც ახლა იცის, რომ ეს წერილი იწერება, თორემ რა გამოულევს ჩემზე სამდურავს, მალე მისი პერსონალური გამოფენა იქნება, შესანიშნავი ხელნაკეთი ნივთები მზის სინათლეს იხილავენ. ამაზე ცოტა მოგვიანებით დავწერ...

არ მინდა, გადაგღალოთ ჩემი ზედმეტი ყურადღებით დედისადმი, აქ შევჩერდები.

მინდა, მოკრძალებული წერილით მივულოცო დედაჩემს **ლალი აბშილავას** დაბადების დღე! ჩემო ღვთისმშობელო და ჩემო რწმენის კედელო, დიდხანს მეყოლე!

ნაჩქარევი მინაწერი დედას...

მოსახდენია ყველაფერი, რაც უნდა მოხდეს,
არსობის პურსაც რახანია ობი გაუჩნდა...
და მოვიზომეთ ის საფლავიც დაბადებამდე,
ჰო დედაჩემო, ამ დღეების თვალთა დახუჭვა
მოხდება, რადგან ეს უნდა მოხდეს!
წამოვა ისევ თევზი კაუჭთან,
კვლავ ხეებს ცივი ზამთარი მოხრის!
და მხრებში ყინვა, რომ არ გაუჯდეს,
მამის პერანგი მოაცვი ოთახს,
სანამ დრო დაგრჩა, სანამ ქარი კიდევ გაყუჩდა...
მოსახდენია ყველაფერი, რაც უნდა მოხდეს,
მოსახდენია ყველაფერი, რაც უკვე მოხდა!
შენი ხელები, როცა უკვე ვეღარ იგრძნობენ,
შვლის თვალების ცრემლის სისველეს,
რა ეშველებათ?.... გახმებიან, ცრემლის გარეშე,
სად წავლენ ნეტავ, რომელ მხარეში,
თუ მონატრებით გამხმარ თავებს ამოივსებენ,
რით უშველიან დაღლილ კაეშანს?
მოსახდენია ყველაფერი, რაც უნდა მოხდეს,
ჩაწვება ღამეც ცივ სამარეში,
რომ დილით ცივი ფეხები ჰქონდეს,
რომ იმ გამომხმარ არსობის პურს ობი გაუჩნდეს
და მოზომილი საფლავები, კვლავ ამოავსონ.
სხვისი ნაკლული დღეების მიწით...
და შენს თხელ მხრებზე ჩამოხრჩობილ,
იმ ჩემს ბავშვობას, ვეტყვი მშვიდობით,
ნახვამდის, მიწყივ....
ჰო, დედაჩემო...
მოსახდენია ყველაფერი, რაც უნდა მოხდეს,
არსობის პურსაც რახანია ობი გაუჩნდა...
და მოვიზომეთ ის საფლავიც დაბადებამდე,
ჰო დედაჩემო, ამ დღეების თვალთა დახუჭვა
მოხდება, რადგან ეს უნდა მოხდეს!
წამოვა ისევ თევზი კაუჭთან,
კვლავ ხეებს ცივი ზამთარი მოხრის!

ოთარ ფალიანი

◎ განათლება

მოგზაურობა ბავშვობაში შვილიშვილებთან ერთად

ანუ „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ“!

„ელენიკო ჩემი პირველი შვილიშვილია. ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკოლაში, როგორ გარემოში მოხვდებოდა...

უკვე მეორე წელია, ქალბატონი ნანა თავის თანაშემწესთან ერთად დაუღალავად შრომობს, მზრუნველობას არ აკლებს ჩვენს ბავშვებს და ჩვენც მშვიდად ვუშვებთ პატარებს სკოლაში. ასეთი ღონისძიებებით ბავშვები ეჩვევიან თავისუფალი აზრის გამოხატვას, თავიანთი ნიჭისა და შესაძლებლობის წარმოჩენას, პატივს სცემენ ქართულ ტრადიციებს, წინაპრების ხსოვნას. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას აქ მოწვევისთვის და ასეთი ლამაზი ღონისძიების ჩატარებისთვის“.

ელენე ლოლაძის ბებო ცისანა ბიწაძე.

ამგვარი სამადლობელი და კეთილი სიტყვები მრავლად ითქვა თბილისის №1 ექსპერიმენტულ საჯარო სკოლაში გამართულ ღონისძიებაზე — „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ!“

პედაგოგი **ნანა ვადაჭკორია** უკვე მრავალი წელია, ამგვარ საინტერესო ღონისძიებას ატარებს თავის აღსაზრდელებთან. ოთხ წელიწადში ერთხელ მეორე კლასის მოსწავლეები სკოლაში თავიანთ ბებია-ბაბუებს იწვევენ. სამზადისი კი ბევრად ადრე იწყება. ბავშვები ნანა მასწავლებლისგან იღებენ დავალებებს სწავლის დაწყებისთანავე, აგროვებენ საინტერესო ცნობებს თავიანთ ბებია-ბაბუებზე, ძველ ფოტოებს, კურიოზებს, მათთან ურთიერთობის სხვადასხვა მომენტებს ინიშნავენ, იციან, რომელი სიმღერა მოსწონთ უფროსებს და რითი ერთობოდნენ ბავშვობაში, რას საქმიანობენ ამჟამად.

ღონისძიებაზე ასამდე ბებიამ და ბაბუამ მოიყარა თავი, ჩამოსულები იყვნენ რაჭიდან, იმერეთიდან, გურიიდან, რუსთავიდან. თითოეული მოსწავლე დამსწრეებს აცნობდა საკუთარ ბებიებს და ბაბუებს, უკითხავდა საყვარელ ლექსებს. პატარა **გიორგი ნადირაძემ** თავისი გარდაცვლილი ბაბუები გაიხსენა და მათ ხსოვნას სიმღერაც მიუძღვნა.

ბავშვებს ყველაფერი აინტერესებდათ, თუ რითი ერთობოდნენ მათი წინაპრები, როდესაც კომპიუტერი და ინტერნეტი არ არსებობდა, რა თამაშები იტაცებდა მათ, მეგობრობდნენ თუ არა სხვა სკოლის თანატოლებთან, ცელქობდნენ თუ არა, სკოლაში ზარმაცობდნენ თუ მასწავლებლებს უჯერებდნენ. ბავშვები თავიანთი წინაპრებისგან ამომწურავ პასუხებს ღებულობდნენ. დამსწრეებმა მოისმინეს საინტერესო ისტორიები, რჩევები მიიღეს უფროსი თაობისგან, გაიხსენეს თავიანთი ბავშვობა. იყო ბევრი სიხარულის ცრემლიცა და სევდიანი მოგონებებიც.

„ჩვენს მშობლებს სურთ, ყველაფერი გვასწავლონ — სიმღერა, მუსიკა, გვატარონ უცხო ენებზე, სპორტზე, დრო სულ არ გვრჩება. თქვენც ასე დაგარბენინებდნენ თქვენი მშობლები?“ — ეკითხება პატარა მარიამ ხუციშვილი თავის ბებოს **ნუნუ ხუციშვილს**. რატი კეკელიას თავისი ბებოსგან **ქეთევან გედევანიშვილისგან** სურს გაიგოს, რა თამაშობები იყო მის ბავშვობაში და როგორ ატარებდნენ თავისუფალ დროს. ბებო, შენც ჩემსავით ცელქი იყავი? — აინტერესებს ანასტასია ქორრიძეს და სწრაფად სურს პასუხი მიიღოს ბებოსგან, ქალბატონი **ქეთევან ჩიქოვანისგან**.

საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობის წევრი, პრეზიდენტობის კანდიდატი, თადარიგის პოლკოვნიკი გელა ხუციშვილი თავის შვილიშვილს გულისყურით უსმენს, ეშმაკურ კითხვებზეც პასუხობს და თავის სამადლობელ სიტყვაში ამბობს: **„გამახსენდა 5 თვის წინანდელი თადარიგის გენერლების დავით თევზაძის, ვლადიმერ იმნაძის, თენგიზ აბულაძის, თემურ ლორიასა და გია ბერძენიძის მიერ წამოყენებული ინიციატივა საჯარო სკოლებში მოსწავლე ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის საკითხის შესახებ. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ქვეყნის ღვაწლმოსილი სამხედრო მაღალჩინოსნები დიდი სიამოვნებით იხილავდნენ სამშობლოს სიყვარულით, წინაპართა პატივისცემით განმსჭვალულ ამგვარ გოგო-ბიჭებს და მათ დამოკიდებულებას ბებია-ბაბუების მიმართ დიდად დააფასებდნენ. ამგვარი ღონისძიებები ძალიან მნიშვნელოვანია და სასურველია, სხვა სკოლებშიც ტარდებოდეს. მხოლოდ განათლების მიღება კანონმორჩილ, განათლებელ მოქალაქედ ჩამოყალიბების საწინდარია, ხოლო ამგვარი ღონისძიებებით უკვე განათლებულ მოქალაქესთან ერთად პატრიოტ, ქვეყნის მოსიყვარულე და წინაპართა ტრადიციების დამცველ მოქალაქეებს მივიღებთ“.**

დამსწრეებმა მადლობა გადაუხადეს ქალბატონ ნანა ვადაჭკორიას — ამგვარი ღონისძიებების ინიციატორსა და მათი შვილიშვილების აღმზრდელს. მადლობა სიყვარულისა და პროფესიონალიზმისთვის, მადლობა იმისთვის, რომ საშუალება მიეცათ, ემოგზაურათ თავიანთ ბავშვობაში შვილიშვილებთან ერთად.

მამუკა ვაშაკიძე,

სურათზე: ქალბატონი ნანა ვადაჭკორია და გელა ხუციშვილი; შეხვედრის დროს.

„მხოლოდ ქართულის“ გამარჯვებული გიორგი კელაპტრიშვილი გახდა

„მხოლოდ ქართულის“ მეორე სეზონის გამარჯვებული გიორგი კელაპტრიშვილი გახდა, რომელმაც ჟიურის და მაყურებლის ყველაზე დიდი მხარდაჭერა დაიმსახურა.

გიორგი კელაპტრიშვილს არაერთი პრიზი გადაეცა სპონსორებისგან, მათ შორის ერიკ კლეპტონის კონცერტზე დასასწრები ორკაციანი საგზური და „ეკო დეველოპმენტისგან“ ოროთახიანი ბინა.

„მხოლოდ ქართულის“ დანარჩენ სამ ფინალისტს ნოდარიკო ხუციშვილს, გუგა მარგველაშვილს და ნუცა თოფურიას „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას გადაწყვეტილებით, ერთი წლის განმავლობაში 2000-2000-ლარიანი ყოველთვიური სტიპენდიები დაენიშნათ.

სახელოვან კოლეგას იუბილეს ვუსურვებთ

დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ენერგეტიკისა და საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრს, სერტიფიცირებულ ენერგომენეჯერს, საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების (ქ.ატლანტა) ინჟინერ-ენერგეტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის წევრსა და საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრემიის ლაურეატს, პროფესორ **გია არაბიძეს**.

დაიბადა ქ. ზესტაფონში 1949 წლის 18 მარტს. 1966 წელს დაამთავრა ქ.ჭიათურის მეორე საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1972-73 წლებში, განაწილებით მუშაობდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალში ცვლის უფროსად. 1973 წელს ბატონი გია უბრუნდება პოლიტექნიკური ინსტიტუტს ენერგეტიკის ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის რანგში. 1974 წლიდან მუშაობას იწყებს თეორიული და ზოგადი თბოტექნიკის და თბოენერგეტიკული დანადგარების კათედრაზე, ჯერ ლაბორატორიის გამგის, შემდეგ ასისტენტის, 1988 წლიდან დოცენტის, ხოლო 2004 წლიდან პროფესორის თანამდებობაზე. 1998-2005 წლებში იგი ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეა, ხოლო 2005-2007 წლებში – დეკანი. ენერგეტიკისა და კავშირგაბმულობის ფაკულტეტებზე ჩატარებული რეორგანიზაციის შემდეგ, 2007 წლიდან, ბატონ გიას უკვე ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის გაერთიანებული ფაკულტეტის დეკანის თანამდებობა უჭირავს. 1987 წელს იგი იცავს საკანდიდატო, ხოლო 2004 წელს სადოქტორო დისერტაციას.

პროფ. გ. არაბიძე წლების მანძილზე კითხულობს ლექციებს კათედრის მაპროფილებელ დისციპლინებში, ხელმძღვანელობდა მაგისტრებსა და დოქტორებს, არის 140-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი, მათ შორის 25 სახელმძღვანელო და 5 მონოგრაფიაა. აღსანიშნავია, რომ 2005 წელს მისი თანაავტორობით გამოცემულმა სახელმძღვანელომ „საქვაბე დანადგარები“ მოიპოვა საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრემია.

გ.არაბიძე აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კომპანიებსა და ინვესტორებთან, როგორიცაა USAID, BP, PA Connsulting, Hagler Bailly და სხვ. მისი უშუალო მონაწილეობით ქ. თბილისში და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განხორციელდა ენერგოეფექტიანობის საპილოტე პროექტები, დაინერგა ენერგოდამზოგი ტექნოლოგიები საყოფაცხოვრებო, სასწავლო-საგანმანათლებლო, სამედიცინო, კომერციულ და სამრეწველო სექტორებში. მონაწილეობს საერთაშორისო-სამეცნიერო და საერთაშორისო-საგანმანათლებლო პროექტებში, როგორებიცაა: ხელშემწყობი გარემოს შექმნა ქვეყანაში ენერგოეფექტური ტექნოლოგიების შემოსატანად და შესაბამისი პროექტების განსახორციელებლად. UNDP/GEF – საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროექტი GEO/96/G31, (II ფაზა), კლიმატის ცვლილების ეროვნული სააგენტო, 2002; Economic Crime in the Energy Sector (Power Engineering), American University. Transnational Crime & Corruption Center. Georgian Money Laundering Project. Economic Crime & Money Laundering in Georgia“; თბური და ატომური სადგურების უსაფრთხო და საიმედო მუშაობის პრობლემები (ГКНТ СССР №211/425. 06.11.81, № проблемы ОЦ. 001.01. 03Н03. Миненерго СССР № Ц.П.0503); TEMPUS-TACIS. საინჟინრო-სასწავლო გეგმების რეკონსტრუქცია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში T-JEP-10224-96.

პროფ. გია არაბიძეს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში ბოლონიის პროცესის შემადგენელი კომპონენტების დანერგვა-გამოყენების საქმეში. იგი კარგად იცნობს ბოლონიის პროცესის ძირითად დოკუმენტებს (უნივერსიტეტის დიდი ქარტია, ლისაბონის, სორბონის, ბოლონიის, გიოტერბორგის, პრაღის, გრაცის, ბერლინის კომუნიკეები და დეკლარაციები) და აქტიურად თანამშრომლობს იმ სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელთა საქმიანობის მიზანი საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებაა. ამ მიმართულებით მისი მონაწილეობით შემუშავდა საბაკალავრო და სამაგისტრო განათლების ახალი სასწავლო გეგმები; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლებისა და დიპლომის ხარისხის დადგენის მეთოდიკა; საგამოცდო ტესტის შექმნის მეთოდოლოგია; დიპლომის დანართი და სხვა.

სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საქმეში შეტანილი წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის ბატონი გია, საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 1 აპრილის №359 განკარგულებით, დააჯილდოვეს ღირსების მედლით, ხოლო 2013 წლის 21 ივნისის №21 განკარგულებით – ღირსების ორდენით.

ბ-ნ გიას უშრეტი ენერგიის ნაყოფია 2009-2018 წლებში მისი უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელებული საგრანტო პროექტები აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის ფარგლებში: „საბაკალავრო პროგრამული მოდული – საყოფაცხოვრებო, რეკრეაციული და სამრეწველო ობიექტების ენერგოუზრუნველყოფა განახლებადი ენერგიით და ენერგოეფექტური ტექნოლოგიებით“ (AID-114-A-00-05-00106.6371-12-07); „ნარჩენი ბიომასის ენერგეტიკული პოტენციალის შეფასება საქართველოსათვის და მისი რეალიზაცია ნატახტრის საბაზო სკოლის გათბობის საპილოტო პროექტში“ (6371-12-13 (AID-111-A-00-05-00106); „კონცენტრაცია ენერგიის მოხმარების მენეჯმენტი“ (No. ECI-EDU-GA-05); „ავტომაგისტრალის ღამის განათება მზის ენერგიის გამოყენებით“ (No.ECI-G-I); „სტეფანწმინდის რაიონის ენერგოუზრუნველყოფის ალტერნატიული შესაძლებლობები“ (No. ECI-GA-R2-06). აღსანიშნავია, აგრეთვე, მისი ვიზიტები ქ. ჟირონას (ესპანეთი), სტოკჰოლმის სამეფო ტექნოლოგიურ, მაგდებურგის ოტტო ვან გუერიკესა და ქ.გრაცის (ავსტრია) უნივერსიტეტებში TEMPUS-ის საგრანტო პროექტის „რეგიონული ინტერდისციპლინარული სწავლება ენერგეტიკასა და გარემოს დაცვის სამართალში“ ეგიდით.

განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა ბატონი გიას მოღვაწეობის ბოლო წლები. ამაზე მეტყველებს მისი უშუალო მონაწილეობა სტუ-ს ავტორიზაციის გასახანგრძლივებელი პროცესის მომზადებაში, რომელიც 2018 წელს დამტკიცებული ახალი სტანდარტებისა და კრიტერიუმების პირობებში საკმაოდ რთული და პრობლემური შეიქმნა. ბატონი გიას ხელმძღვანელობით შემუშავდა ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე – (PDCA); ფაკულტეტის SWOT ანალიზი; შვიდწლიანი სტრატეგიული მიზნები: სამწლიანი სამუშაო გეგმა) და დაისახა ფაკულტეტის ძირითადი მიზნები და ამოცანები: თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება/გადამზადება; პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების მქონე პირების – ბაკალავრებისა და პროფესიული განათლების მქონე პირების – სპეციალისტების მომზადება და გადამზადება; სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების მქონე პირების – მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება; უცხოელ სტუდენტთა მოზიდვა; საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა; სტუდენტური პროექტების რეალიზება ინოვაციური ლაბორატორიების ბაზაზე; მატერიალური ბაზის სრულყოფა; სტუდენტთა კარიერული ცენტრის შექმნა; ორმაგი ხარისხის მინიჭება; ინოვაციური კლასტერები; სასწავლო-კვლევით პროცესში უცხოელი მოქმედი და ემერიტუსი პროფესორების ჩართულობა. განახლდა ფაკულტეტზე არსებული ყველა საგანმანათლებლო პროგრამა. 2018/2019 სასწავლო წელს, ახალი სტანდარტებით, აკრედიტაცია გაიარა საბაკალავრო „საინჟინრო მენეჯმენტი“ და სამაგისტრო „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა“ საგანმანათლებლო პროგრამებმა.

გია არაბიძის მეუღლე რუსუდან რატიანი ექიმია და წლების მანძილზე ემსახურება ბავშთა ჯანმრთელობის დაცვას. ქალიშვილები მარინა და ირინა, რომლებმაც განათლება საქართველოსა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში მიიღეს, წარმატებით მუშაობენ მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ენერგოკომპანიასა (BP) და USAID პროექტებში.

ბატონო გია, გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღებს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობაში ჩვენი ქვეყნისა და ტექნიკური უნივერსიტეტის საკეთილდღეოდ.

საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირი;
საქართველოს ენერგეტიკოსთა ასოციაცია;
საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი.

დიდი ბედნიერებაც, უდიდესი პასუხისმგებლობაც!

19 **იანვარს**, ნათლიღებას, წირვის აღვლენისა და წყლის კურთხევის შემდგომ, სამების ტაძრის საკურთხეველში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს გადაეცა **„ქართული ერთობის დარბაზის“, „მეცნიერთა კონგრესის ეროვნული თანხმობისთვის“** და **„საქართველოს ხალხთა ასამბლეის“** ინიციატივითა და საქართველოს მეცნიერთა დიდი ჯგუფის მონაწილეობით შექმნილი და წიგნად გამოცემული ქვეყნის განვითარების კონცეფცია **„გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“** .

ეს კონცეფცია პატრიარქის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა. მას წამძღვარებული აქვს პატრიარქის სიტყვები: **„რასაც თქვენ ფიქრობთ და რის გაკეთებასაც აპირებთ, ეს ჰაერივით სჭირდება საქართველოს“. კონცეფციის მთავარი მიზანია ხალხის, ეკლესიისა და ხელისუფლების ერთობა.**

ეს არის ორ წელზე გათვლილი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მსოფლიოს **40 ქვეყნის 85 ქალაქში,** საქართველოს რეგიონებში **„ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა კონგრესის“** სესიების ჩატარებას, რომელიც **2020 წლის შემოდგომაზე** დასრულდება თბილისში ამავე სახელწოდების მსოფლიო კონგრესით, მომავლის საქართველოს პროგრამის დამტკიცებით, ძველ ქართულ და მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, **„სახელმწიფო კაცების საკრებულოს“ არჩევით**.

კონცეფცია ეყრდნობა თაობათა და საქართველოსა და საქართველოს გარეთ მცხოვრებ მამულიშვილთა ერთიანობის უმთავრეს იდეას, რომლის ინიციატორებიც ახალგაზრდები არიან.

პატრიარქმა ლოცვა -კურთხევა მისცა **8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის დღეს, გელათში, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ კომპლექსში „ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესის“** გახსნას, რაც ნიშნავს კონგრესის ორწლიანი ციკლის დაწყებას.

კონცეფცია **„გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“** პატრიარქს ინიციატორთა და ავტორთა სახელით, ახალგაზრდობის წარმომადგენლებთან ერთად, გადასცა **„ქართული ერთობის დარბაზის“** აღმასრულებელი საბჭოს წევრმა, გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა **თეიმურაზ შაშიაშვილმა**. მათ პატრიარქს მოახსენეს, რომ წიგნად გამოცემული კონცეფციის იმ ეგზემპლარს, რომელიც მას გადაეცა, 300-მდე კულტურისა და მეცნიერების ცნობილი მოღვაწისა და ახალგაზრდის ხელმოწერა აქვს, რომ ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა ეს ხელმოწერა **19 აგვისტოს, ფერიცვალებას, ხარაგაულში, რკინის ჯვარზე** სწორედ იმ ადგილზე გააკეთეს, სადაც პირველი საუკუნის 30-იან წლებში **ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა** რკინის ჯვარი აღმართეს.

„ეს დიდი შეხვედრა იყო, მით უფრო, რომ ის შედგა ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს, შედგა სამების ტაძრის საკურთხეველში. ეს ბედნიერებაცაა და უდიდესი პასუხისმგებლობაც. ყველა იმ ორგანიზაციისა და პიროვნების, რომელთაც ევალებათ საქართველოს განვითარების კონცეფციის **„გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“** პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება“, – აღნიშნეს პატრიარქთან შეხვედრის მონაწილეებმა.

„გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“
პრესცენტრი 21.01.2019წ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თამარ კაკაჩიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თამარ კაკაჩია (პ/ნ 19001014427), ზუგდიდი, ქუჯის ქ. №10, ბინა №49.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ზუგდიდი, ესებუას ქ. №24 ზუგდიდი, ესებუას ქ. №24 (საკადასტრო კოდი: 43.31.67.232 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 17456.52 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 23 იანვარი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 7 თებერვალი, 14:15 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP57905119;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 579051
6. **მოვალე:** მარლენ ნაჭყებია (პ/ნ 19001038685), ზუგდიდი, ზ. ფალიაშვილის ქ. №11.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP57905119; ლოტის ნომერი: 579051).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 7 თებერვლის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ირაკლი პერტიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ირაკლი პერტია (პ/ნ 19001028317), ზუგდიდი, კ. თათარიშვილის ქ. 72.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ზუგდიდი, თათარიშვილის ქ. 72 (საკადასტრო კოდი: 43.31.76.199).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 40762.65 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 23 იანვარი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 7 თებერვალი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP57904019;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 579040
6. **მოვალე:** ირაკლი პერტია (პ/ნ 19001028317), ზუგდიდი, კ. თათარაშვილის ქ. 72.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP57904019; ლოტის ნომერი: 579040).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 7 თებერვლის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს ‘ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს ‘ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს დარეჯან კვარაცხელიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** დარეჯან კვარაცხელია (პ/ნ 19001093024), ზუგდიდი, სოფელი ცაიში, ლაზის ქ. №8.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ზუგდიდი, ფაზისის ქ. №39 (საკადასტრო კოდი: 43.31.64.273 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search)

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 7172.69 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 23 იანვარი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 7 თებერვალი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP57904919;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 579049
6. **მოვალე:** მანუჩარ ხუხუა (პ/ნ 19601119358), ზუგდიდი, სოფელი ცაიში, ლაზის ქ. №8.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს ‘ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს ‘ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს ‘ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს ‘თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP57904919; ლოტის ნომერი: 579049).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 7 თებერვლის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი იშხნელის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი იშხნელი (პ/ნ 01003008966), თბილისი, მუხიანის 4ბ მ/რ, კორპუსი 29, სართული 3, ბინა №143.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, მუხიანის 4ბ მ/რ, კორპუსი 29, სართული 3, ბინა №143 (საკადასტრო კოდი: 01.11.13.010.006.01.143https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 30563 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 23 იანვარი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 7 თებერვალი, 14:15 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP57904619;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 579046
6. **მოვალე:** ტარიელ იშხნელი (პ/ნ 01003001963), თბილისი, მუხიანის 4ბ მ/რ, კორპუსი 29, სართული 3, ბინა №143;
გიორგი იშხნელი (პ/ნ 01003008966), თბილისი, მუხიანის 4ბ მ/რ, კორპუსი 29, სართული 3, ბინა №143.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP57904619; ლოტის ნომერი: 579046).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 7 თებერვლის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

◎ ლეგიონერი

ბითაძე ადრიატიკის ლიგას იპყრობს

ადრიატიკის ლიგის მე-16 ტურში მორიგი გამარჯვება მოიპოვა გოგა ბითაძის „ბუდუჩნოსტმა“, რომელმაც ზაგრების „ცედევიტა“ ძალზე დრამატულ და დაძაბულ შეხვედრაში დაამარცხა – 80:78.

მთელი თამაში თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და ლოგიკურიც იყო, რომ შეხვედრის ბედი ბოლო წამზე გადაწყდა. „ცედევიტა“ ახლოს იყო გამარჯვებასთან და საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე 8 ქულით იგებდა კიდეც, მაგრამ დარჩენილ დროში მასპინძლებმა დაცვაში კარგი თამაშით და ზუსტი შეტევებით თამაში შემოატრიალეს. მატჩის დასრულებამდე 3 წამით ადრე მონტენეგროელები 80:78 იგებდნენ, ხოლო ბურთი მეტოქეს ჰქონდა. ბოლო ტყორცნა ხორვატთა მხრიდან საქართველოს ნაკრების ყოფილმა წევრმა ჯეიკობ პულენმა ითავა, თუმცა, მას ნორის კოულმა დაუფარა და მატჩიც ასევე დასრულდა.

გოგა ბითაძე ორმაგი დუბლით გამოირჩა. 19 წლის ქართველი ცენტრი პარკეტზე 22 წუთის განმავლობაში დატვირთეს, და ხსენებულ დროში საკუთარ გუნდს 10 ქულა, 10 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა და 2 დაფარება შესძინა, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი კი 15-ს გაუტოლდა.

გოგამ 6-დან 2 ორქულიანი და 10-დან 6 საჯარიმო ჩააგდო, ხოლო 1 სამქულიანი ააცილა. მანვე სამჯერ ბურთი მეტოქის ფარზე მოხსნა. ნიშანდობლივია, რომ გოგა მესამე პერიოდიდან მოყოლებული 4 ფოლით თამაშობდა, თუმცა, შეხვედრა მეხუთე ჯარიმის გარეშე ჩაამთავრა. თავის მხრივ, მის წინააღმდეგ 5-ჯერ დაჯარიმდნენ. აქვე ვთქვათ ისიც, რომ გოგამ მატჩის გადამწყვეტ ფაზაში დაცვაში დიდი სამუშაო შეასრულა და „ცედევიტას“ ორი მნიშვნელოვანი შეტევა მისი კარგი თამაშის წყალობით ჩაიშალა.

შეხვედრის საუკეთესო მექანული ჯეიკობ პულენი გახდა. საქართველოს ნაკრების ყოფილმა ლეგიონერმა 27 წუთში 25 ქულა დააგროვა. პულენმა 8-დან 4 ორქულიანი, 4-დან 2 საჯარიმო და 7-დან 5 სამქულიანი ჩააგდო.

„ბუდუჩნოსტმა“ ამ გამარჯვების შემდეგ 11 მოგებითა და 5 წაგებით მესამე ადგილზე გადაინაცვლა, გაასწრო რა ბელგრადის „პარტიზანს“. ადრიატიკის ლიგაზე პოდგორიცელები მომდევნო მატჩს 29 იანვარს სტუმრად სლოვენიურ „ოლიმპიასთან“ ჩაატარებენ, თუმცა, იქამდე ევროლიგაში „გრან კანარიასთან“ მოუწევთ გარჯა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ სეზონის სტარტზე

არის ურუშაძის პირველი „ოქრო“!

ფიგურულ სრიალში 2019 წლის პირველ საერთაშორისო ტურნირზე ქართველმა მოციგურავე ალინა ურუშაძემ ოქროს მედალი მოიპოვა. შეჯიბრს სერბეთის დედაქალაქმა ბელგრადმა უმასპინძლა. იუნიორთა კატეგორიაში მოკლე და თავისუფალი პროგრამები 36-მა სპორტსმენმა წარმოადგინა. ურუშაძემ დამაჯერებლად იასპარეზა და ორივე პროგრამაში საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა. ჯამში ქართველმა მოციგურავემ 146,71 ქულა დააგროვა და პირველ ადგილზე გავიდა.

ალინა ურუშაძის წარმატება მნიშვნელოვანი განაცხადია ისეთი ტურნირების წინ, როგორებიც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებია. კონტინენტის პირველობა 21-27 იანვარს მინსკში გაიმართება, მსოფლიო ჩემპიონატებს კი მარტში ხორვატეთი და იაპონია მიიღებენ. ამ ტურნირებში ქართველი მოციგურავეები ვაჟთა, გოგონათა და სპორტული ცეკვების კატეგორიაში იასპარეზებენ.

ალინა ურუშაძე ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალშიც გამოვა, რომელიც 9-16 თებერვალს სარაევოში ჩატარდება. შეგახსენებთ, რომ ქართველი მოციგურავე საერთაშორისო ასპარეზზე შარშან გამოჩნდა და უკვე არაერთი წარმატება მოიპოვა.

კოგა კოგახიძე

◎ ინტერნეტიდან

წუნია ხალიფა

ცოტა ხნის წინათ დიდის რუდუნებით გამცნეთ, რომ ბრიტანელი პორნოვარსკვლავი მია ხალიფა ინგლისის საფეხბურთო პრემიერლიგის ერთგვარი სახე გახდა და ლონდონური „ვესტ ჰემ იუნაიტედის“ თავგადაკლული ქომაგის იმიჯიც ისე მშვენივრად მოირგო – თქვენი მოწონებული.

ამ რამდენიმე დღის წინათ კი მას შემდეგ, რაც ლონდონურ დერბიში მისმა საყვარელმა „ჩაქუჩებმა“ ბობოლა „არსენალი“ დაამარცხეს და „მიაჩაქუჩეს“, მია ხალიფამ სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ მეთოფეთა ფრანგი მობურთალის მატეო გენდუზის მისამართით ისეთი პოსტი დაწერა, რასაც ახლა მთელი საფეხბურთო და არამხოლოდ საფეხბურთო საზოგადოება განიხილავს.

მიამ გენდუზის ქალიშვილი უწოდა და ისიც დაუწერა, რომ მისი პორნომოღვაწეობის პერიოდში, ანუ 2014 წელს უფრო ცოტა ხნის მანძილზე იდგა მუხლებზე, ვიდრე მატეო გენდუზი „ვესტ ჰემთან“ მატჩისას 90 წუთის განმავლობაში. ასეთი გაქანებისა და წარსულის მქონე ქალი ცნობილ ფეხბურთელს მუხლებზე დგომას რომ დაგიწუნებს, წესით ნამეტანი უნდა გეწყინოს...

ბეჟან დოლიძე

საფეხბურთო მოზაიკა

ბელგიური „გენტის“ ქართველი შემტევი გიორგი ჩაკვეტაძე იტალიური „მილანის“ თვალთახედვის არეში მოხვდა. აღნიშნულ ინფორმაციას Sportmediaset-ის ჟურნალისტი სოციალური ქსელით ავრცელებს.

იტალიელი მიმომხილველი ტვიტერის პირად გვერდზე წერს, რომ „მილანი“ ბელგიაში გიორგი ჩაკვეტაძით დაინტერესდა.

„მილანი“ ბელგიაში „გენტის“ გამთამაშებელ გიორგი ჩაკვეტაძესაც აკვირდება. მისი ფასი 15 მილიონი ევროა“, – წერს კალმოსანი.

ჯერჯერობით სხვა ხელჩასაჭიდი ცნობა ზემოხსენებულთან დაკავშირებით არ ვრცელდება. შეგახსენებთ, რომ ჩაკვეტაძე ბოლო პერიოდში არაერთ ევროპულ გრანდს დაუკავშირეს, მათ შორის – „ბარსელონას“, „ბაიერნსა“ და „რომას“.

* * *

მადრიდის „ატლეტიკოს“ მცველ ფილიპე ლუისს მიაჩნია, რომ 2018 წელს „ოქროს ბურთი“ ლუკა მოდრიჩის ნაცვლად ლიონელ მესისთვის უნდა მიეცათ.

„ამდენი წელია მესის ვუცქერ და მოხიბლული ვარ მისით. ის სულ ახალ და ახალ ამპლუებში გვევლინება. ადრე ფრთებზე თამაშობდა, ხოლო ბოლო დროს ცენტრისკენ შეიწია და სასწაულებს სჩადის, ახლა კი მესმის – „ოქროს ბურთს“ არ იმსახურებდაო.

შარშან მან მოიგო პრიმერადივიზიონი, ესპანეთის სამეფო თასი, ევროპის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ტონა საგოლე პასები დაარიგა, მეტი რაღა ექნა? ვინც ფიქრობს, რომ მესი „ოქროს ბურთს“ არ იმსახურებდა, ვერ ხედავს იმას, რასაც მე ვხედავ ან საერთოდ არაფერი გამეგება ფეხბურთში.

ლეო „ბარსას“ საუკეთესო ფეხბურთელია – გააქვს ბურთები, არიგებს უნიკალურ პასებს, იწყებს საგოლე კომბინაციებს და ამას უკვე 10 წელიწადია აკეთებს.

ჩვენ უკვე წლებია, რაც მეტოქეები ვართ და მოწინააღმდეგეზე, ალბათ, ასეთი აღფრთოვანებით არ უნდა ვსაუბრობდე, მაგრამ რასაც ვამბობ, გულწრფელად ვამბობ.“ – უთხრა ბრაზილიელმა მცველმა Globo Esporte-ს.

* * *

ტურინის „იუვენტუსის“ პორტუგალიელმა შემტევმა კრიშტიანუ რონალდუმ იტალიის სერია A-ს მე-20 ტურის მატჩში „კიევოს“ წინააღმდეგ (3:0) 52-ე წუთზე თერთმეტმეტრიანი გააცუდა – მეკარე სტეფანო სორენტინომ აუღო.

შედეგად, კრიშტიანუ კარიერის მანძილზე ვერგატანილი პენალტების რაოდენობით ბარსელონელ ლიონელ მესის გაუთანაბრდა. მათ 25-25-ჯერ ვერ შეძლეს თერთმეტმეტრიანის რეალიზება, ოღონდ, რონალდუს ამისათვის 139 ცდა დასჭირდა, მესის კი - 108.

პორტუგალიელისთვის ეს პირველი გაცუდებული პენალტი გახლავთ „იუვენტუსის“ მაისურით. მანამდე მან ოთხი ცდიდან ოთხივეჯერ გაიტანა. მიმდინარე სეზონში რონალდუმ სერია A-ს 19 მატჩში 14 ბურთი გაიტანა და ხუთი საგოლე პასით გამოირჩა.

გიორგი ზოთაძე



თვალსაჩინო მეცნიერი

აკადემიკოსი ნოდარ ბერიკაშვილი 90 წლისაა

გამოჩენილ ქართველ მათემატიკოსს, მსოფლიო აღიარების მქონე ტოპოლოგს და ქართული ტოპოლოგიური სკოლის ერთ-ერთ დამფუძნებელს, აკადემიკოს ნოდარ ბერიკაშვილს 90 წელი შეუსრულდა.

იგი დაიბადა 1929 წელს, 1952 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, აკად. გიორგი ჭოღოშვილის ხელმძღვანელობით მომზადებულმა მისმა დისერტაციამ მსოფლიო მნიშვნელობის მოსკოველი ტოპოლოგის, აკადემიკოს პ. ალექსანდროვის ყურადღება მიიქცია, რომელმაც სრულიად ახალგაზრდა მათემატიკოსი მოსკოვში, იმდროინდელი მათემატიკის ერთ-ერთ მთავარ ცენტრში, სტეკლოვის სახ. მათემატიკის ინსტიტუტში მიიწვია, სადაც ბატონმა ნოდარმა 1959 წლამდე იმუშავა და აქ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (1956 წ.). ამ საქვეყნოდ ცნობილი ინსტიტუტის ვებ-გვერდზე დღეს აღნიშნულია: „ომის შემდგომ ინსტიტუტს შემოემატნენ ლ. პონტრიაგინის და პ. ალექსანდროვის მოწაფეები ნ. ბერიკაშვილი, რ. გამყრელიძე“.

ასევე ძალიან საინტერესოა, რომ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი გეომეტრიისა და ტოპოლოგიის კათედრის გამოჩენილ თანამშრომელთა ჩამონათვალში დღესაც ფიგურირებს სამი ქართული გვარი: გ. ჭოღოშვილი, ნ. ბერიკაშვილი, რ. გამყრელიძე.

1959 წელს ბატონი ნოდარი სამშობლოში ბრუნდება და მუშაობას იწყებს ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის გეომეტრიისა და ტოპოლოგიის განყოფილებაში. 1989 წლიდან იგი აღნიშნული განყოფილების ხელმძღვანელია. 1971 წელს ბ-ნი ნოდარი იცავს სადოქტორო დისერტაციას უკვე ხსენებულ სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში, 2001 წელს კი მას ირჩევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

დიდია აკად. ნ. ბერიკაშვილის წვლილი ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში, იგი ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალგებრისა და გეომეტრიის კათედრაზე. აკად. გიორგი ჭოღოშვილის და მისი პირველი თაობის მოწაფეების, აკად. ნოდარ ბერიკაშვილისა და აკად. ხვედრი ინასარიძის მიერ დაფუძნებული ქართული ალგებრულ-ტოპოლოგიური სკოლის წარმომადგენლები დღეს თავიანთ დარგებში წამყვანი მეცნიერები არიან საერთაშორისო მასშტაბით.

საზოგადოდ, მეცნიერის აღიარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როცა ცნებას, თეორემას, მეთოდს ან სხვ. მისი სახელი დაერქმევა. ამ მხრივ ბატონი ნოდარი უაღრესად წარმატებულია. ტოპოლოგიაში არსებობს ბერიკაშვილის სახელობის ისეთი ცნებები, როგორიცაა „ბერიკაშვილის D ფუნქტორი“, „ბერიკაშვილის მგრეხი ელემენტები“, „ბერიკაშვილის განტოლება“, „ბერიკაშვილის მოდელი“, „ბერიკაშვილის გარდაქმნა“, „ბერიკაშვილის აქსიომები“.

ამერიკელი მათემატიკოსი, ახალი დარგის – კოჰომოლოგიური ფიზიკის ფუძემდებელი ჯეიმს სტაშეფი ბერიკაშვილის მეცნიერულ შედეგებს უძღვნის ვრცელ სტატიას „გრეხილი კვალი კოჯაჭვების და ბმულობებისა“, სადაც იგი ხაზს უსვამს, რომ ბერიკაშვილის ფუნქტორი D უკავშირდება ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს, როგორებიცაა მაურერ-კარტანის განტოლება, დეფორმაციის განტოლება, ფიზიკაში – ბატალინ-ვილკოვისკის ფორმალიზმი, მასტერ-განტოლება, ბრტყელი ბმულობები, ხოლო ბერიკაშვილის გარდაქმნები დღეს ფიზიკაში იწოდება ყალიბურ გარდაქმნებად.

> კიდევ ერთი ფრაზა სტაშეფის ახალი სტატიიდან „L∞ ფიზიკაში და საქართველოში“: **„მე ვფიქრობ, ნოდარ ბერიკაშვილისა და მისი სკოლის მიერ მომზადდა ნოყიერი ნიადაგი ძლიერი ჰომოტოპიური სტრუქტურების ასაყვავებლად მანამდე, სანამ ეს დარგი დასავლეთში გახდებოდა პოპულარული“.**

ცნობილი გერმანელი მათემატიკოსი იოჰანეს ჰიუბშმანი სტატიაში „ბერიკაშვილის ფუნქტორი D და დეფორმაციის განტოლება“ აღწერს ბერიკაშვილის D ფუნქტორის კავშირს ისეთ ფუნდამენტურ საკითხებთან, როგორებიცაა დეფორმაციის თეორია, ყალიბური თეორია, ჩეხის ფორმალური მწკრივები, ფიზიკის ძირითადი განტოლება, ყველა ეს საკითხი ერთიანდება ბერიკაშვილის მგრეხ კოჯაჭვთა გარდაქმნების ცნებით.

აღსანიშნავია ციტატა გერმანელი მათემატიკოსის ბერნჰარდ კელერის წიგნიდან: „ჰომოტოპიური ალგებრისა და მაღალი რიგის ჰომოტოპიების ტრადიცია პარალელურად ჩამოყალიბდა ბერიკაშვილისა და მისი მოწაფეების მიერ საქართველოში (იმ დროს საბჭოთა კავშირის ნაწილში)“.

ჩეხი მათემატიკოსი მარტინ მარკლი აღნიშნავს, რომ „მაურერ-კარტანის განტოლება, რომელიც ცნობილია აგრეთვე როგორც ბერიკაშვილის განტოლება, წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს განტოლებას მათემატიკაში“.

ამერიკაში გამოცემულ წიგნში „თვალსაჩინო ალგებრული ტოპოლოგები“ ფუნდამენტური ჯგუფის შესახებ ერთ-ერთი ცენტრალური თეორემის ავტორებს შორის (ჩეხი, ლერე, ვეილი, კალაბი, ვუ – თითოეული მათგანი საყოველთაოდ ცნობილი კლასიკოსია) დასახელებულია ნოდარ ბერიკაშვილი. მისი ეს შედეგი ნახსენებია აგრეთვე ინგლისურენოვანი ვიკიპედიის სტატიაში ფუნდამენტური ჯგუფის შესახებ.

> **რაოდენ სასიხარულოა, რომ ბატონი ნოდარ ბერიკაშვილი – გამოჩენილი მეცნიერი და შესანიშნავი პიროვნება – დაბადების 90 წლისთავს ასე მხნედ ხვდება, ვუსურვებთ მას დიდხანს სიცოცხლეს, რათა კიდევ არაერთი საიუბილეო თარიღი მიგველოცოს მისთვის.**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი.

◎ დინასტია

ქართული ფეხბურთის „ბაბუ“

ქართული ფეხბურთის ისტორიაში მრავლად იყვნენ ფეხბურთელები, რომლებიც კარიერაში განსაკუთრებულ კვალს ტოვებდნენ. პროფესია ბომბარდირი არ არსებობს, მაგრამ თუ მერაბ მეგრელაძის საფეხბურთო კარიერას ჩავუღრმავდებით, გატანილი ბურთებით და სარეკორდო მიღწევებით ეს სახელი მასზე ზედგამოჭრილია. რომ არა ავბედითი 2012 წლის 24 იანვარი, გამორჩეულ ქართველ ფეხბურთელს მერაბ მეგრელაძეს წელს 26 იანვარს 63 წელი შეუსრულდებოდა. მისი საფეხბურთო კარიერა 1977 წლიდან ლანჩხუთის „გურიით“ იწყება და 1998 წელს მთავრდება. რომელ გუნდშიც ითამაშა, ყველგან ბომბარდირი გახდა, სულ კი კარიერის განმავლობაში 665 ჩატარებულ მატჩში 343 გოლი გაიტანა. მიუხედავად იმისა, რომ მას თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში არ უთამაშია, თავის საფეხბურთო კარიერაში მრავალი შთამბეჭდავი სეზონი აქვს ჩატარებული.

2008 წლის მარტში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის კალენდარულ შეხვედრაში „ბორჯომსა“ და „ამერს“ შორის ბორჯომელთა რიგებში მოთამაშე გია მეგრელაძემ მეტად მნიშვნელოვანი ბურთი გაიტანა, რომელსაც ისტორიული დატვირთვა ჰქონდა, რადგან მრავალი ათწლეულის განმავლობაში პირველად ფეხბურთელი მამაშვილი 100-100 გატანილი გოლით ასიანთა კლუბის ღირსეული წევრი გახდა. ერთი ფაქტიც არის აღნიშვნის ღირსი: ძალიან იშვიათად შეხვდებით ფეხბურთის ისტორიაში ფაქტს, რომ მამაშვილს ერთ გუნდში ეთამაშოს. დიახ, მერაბ და გია მეგრელაძეები 1994-95 წლების სეზონში ქუთაისის „ტორპედოს“ ღირსებას იცავდნენ. 1992-93 წლებში მერაბ მეგრელაძემ წყალტუბოს „სამგურალის“ შემადგენლობაში 41 ბურთი გაიტანა, რაც დღემდე მოუხსნელ რეკორდად რჩება. თუმცა, 37 წლის ფეხბურთელმა გატანილი სარეკორდო გოლებით დაკარგა შანსი, რომ „ოქროს ბურთის“ მფლობელი გამხდარიყო, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს პრიზი ხუთი სეზონი არ გათამაშებულა.მერაბ მეგრელაძემ კარიერა 1998 წელს რუსეთის პირველი ლიგის ნოვოსიბირსკის „ჩკალოვეცში“ დაამთავრა და გუნდის ისტორიაში საიუბილეო - მე-1000-ე ბურთის ავტორი გახდა. დიდი ავტორიტეტის გამო მას სიყვარულით „ბაბუ“ შეარქვეს.

სტაჟიან გულშემატკივართათვის ისიც უცნობია, რომ საქართველოში მეგრელაძეები ყველაზე ტრადიციულ საფეხბურთო დინასტიას წარმოადგენენ. მერაბ მეგრელაძე ოზურგეთში დაიბადა და იქვე ეზიარა ფეხბურთის ანბანს. ოზურგეთის „მერცხალში“ თამაშობდნენ მერაბის მამა და ბაბუა – ილია და ნოდარ მეგრელაძეები. ოთხი თაობა ფეხბურთში უნიკალური მოვლენაა – მსგავს საფეხბურთო დინასტიას მსოფლიო ფეხბურთში ვერსად მიაკვლევ. ამ ორიოდე წლის წინათ საფეხბურთო კლუბ „საბურთალოში“ გაზრდილი უმცროსი მერაბ მეგრელაძე გახდა მეხუთე თაობის წარმომადგენელი, რომელიც ქუთაისის „ტორპედოს“ შემადგენლობაში გამოჩნდა. თუ მომავალში მატჩის საგაზეთო რეპორტაჟებში კვლავ შეხვდებით ფრაზას გოლი გაიტანა მერაბ მეგრელაძემ, არ უნდა გაგიკვირდეთ, რადგან ბურთების გატანა მეგრელაძეების გვარს სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი. ჩვენც იმედით დავველოდოთ უმცროსი მერაბ მეგრელაძის მიერ გატანილი გოლებით გამოწვეულ სიხარულს.

ბეჟან ჩხეიძე,
ზესტაფონი

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ავილ აბდულაევის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ავილ აბდულაევი (პ/ნ 36001009085), საგარეჯო, სოფელი თულარი.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

საგარეჯო, სოფელი თულარი (საკადასტრო კოდი: 55.03.51.173 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search)

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 111261.37 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 24 იანვარი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 7 თებერვალი, 14:30 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP57929319;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 579293

6. **მოვალე:** ავილ აბდულაევი (პ/ნ 36001009085), საგარეჯო, სოფელი თულარი;
მახმად გახრამანოვი (პ/ნ 36001009228), საგარეჯო, სოფელი თულარი.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შემენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP57929319; ლოტის ნომერი: 579293).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 7 თებერვლის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს დავით ქავთარაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** დავით ქავთარაძე (პ/ნ 19001018026), ზუგდიდი, თავისუფლების ქ. №60.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ზუგდიდი, ვარშავის ქ. №7 (საკადასტრო კოდი: 43.31.69.032 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search)

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 25367.83 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 24 იანვარი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 7 თებერვალი, 14:30 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP57929919;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 579299

6. **მოვალე:** გელა ინალიშვილი (პ/ნ 01006001163), თბილისი, დიდუბე, აკ. წერეთლის გამზ. №61, ბინა №8.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შემენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP57929919; ლოტის ნომერი: 579299).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 7 თებერვლის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

სანთელი

პროფესორ არჩილ სარუხანიშვილის ხსოვნას



გარდაიცვალა ქართველი მეცნიერი, მკვლევართა და სპეციალისტთა მრავალი თაობის აღმზრდელი, სამეცნიერო მუშაობის შესანიშნავი ორგანიზატორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის კათედრის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ARCHIL SARUKHANISHVILI.

არჩილ სარუხანიშვილის მიერ განვლილი გზა სამშობლოს კეთილდღეობის, მეცნიერებისა და უმაღლესი სკოლის განვითარების უმწიკვლო და თავდადებული მოღვაწეობის მაგალითია. მეცნიერებისა და ქიმიური პროფილის უმაღლესი სკოლის სასწავლო პროცესში მის მიერ შეტანილმა წვლილმა შესამჩნევი კვალი დატოვა ბუნებრივ და ტექნოგენურ მოვლენათა ახსნა-შემეცნებაში, საქართველოში ახალგაზრდა ქიმიკოს-ტექნოლოგთა მომზადება- მოდერნიზაციაში.

საქმისადმი სიყვარული და პასუხისმგებლობა, ცხოვრებაში კანონმორჩილება, ირგვლივ მყოფი ადამიანებისადმი კეთილგანწყობა, ინტელიგენტურობა — აი, ის თვისებები, რომლითაც გამოირჩეოდა ბატონი არჩილი.

საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანია მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა. იგი ჯერ უფროსი მასწავლებელი იყო, ხოლო 1967 წლიდან, სანკტ-პეტერბურგში საკანდიდატო დისერტაციის დაცვისა და ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მინიჭების შემდეგ, სილიკატების ტექნოლოგიის კათედრის დოცენტი. 1979 წელს სანკტ-პეტერბურგში სადოქტორო დისერტაციის დაცვისა და ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შემდეგ, იგი ამავე კათედრის პროფესორი გახდა. 1979-1982 წლებში იყო საქართველოს ტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 1982 წელს არჩეული იქნა ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის კათედრის გამგედ, სადაც ნაყოფიერად მოღვაწეობდა 2008 წლამდე. ბოლო წლებში იგი გახლდათ ქიმიური და ბიოლოგიური დეპარტამენტის სრული პროფესორი, 2017 წლიდან ემერიტუსი.

1966 წლიდან სილიკატების ტექნოლოგიის კათედრაზე ბატონი კალე ქუთათელაძის ხელმძღვანელობით და ბატონი არჩილის აქტიური მონაწილეობით დაიწყო მრავალმანგანუმიანი, მრავალკომპონენტიანი ბუნებრივი და ტექნოგენური ნედლეულის საფუძველზე მიღებული მინის კვლევა, რაც გადაიქცა სამეცნიერო მიმართულებად, რომლის ფარგლებში დღესაც გრძელდება კვლევა.

1976-1990 წლებში ნათლად იკვეთება ბატონი არჩილის, როგორც სამეცნიერო მუშაობის ორგანიზატორის როლი. იგი იმ პერიოდში იყო მეცნიერებისა და ტექნიკის საკავშირო კომიტეტის სამეცნიერო საბჭოს ორი სექციის (მინანქრისა და ხურვალმედეგი მასალები) წევრი, სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის „მყარი ელექტროლიტების“ სექციის წევრი, საქართველოს ქიმიკოსთა საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, მონაწილეობდა მინანქრის, მინის, ხურვალმედეგი მასალებისა და მყარი ელექტროლიტების სფეროში მიმდინარე კვლევების კოორდინაციაში, იყო რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო თათბირების, კონფერენციების, სიმპოზიუმების ორგანიზატორი და ორგკომიტეტის წევრი, რამდენიმე საკვალიფიკაციო საბჭოს წევრი, ოპონირებდა მრავალ საკვალიფიკაციო ნაშრომს. დაარსებიდან გარდაცვალებამდე იყო საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის ჟურნალ „კერამიკის“ მთავარი რედაქტორი. მისი ინტერესის სფეროში შედიოდა საქართველოში არსებული მინისა და მინანქრის საწარმოების ყოველდღიურ მუშაობაზე თვალყურის დევნება, საჭიროების შემთხვევაში მათთვის დახმარების აღმოჩენა.

ა. სარუხანიშვილს მომზადებული ჰყავს: 18 მეცნიერებათა კანდიდატი, 2 მეცნიერების დოქტორი, მისი ხელმძღვანელობით ხუთმა ახალგაზრდამ მიიღო მაგისტრის წოდება და ამდენივემ აკადემიური დოქტორის. ა. სარუხანიშვილს შექმნილი აქვს ხუთი სახელმძღვანელო, 19 დამხმარე სახელმძღვანელო, 10-მდე მეთოდური მითითება. ასეთი გახლავთ ბატონი არჩილის 55-წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის შედეგი.

არანაკლებ შთამბეჭდავია მისი სამეცნიერო მონაგარიც — ხუთი მონოგრაფია, 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, 60-მდე გამოგონება, 50-ზე მეტი სამეცნიერო ტექნიკურ თათბირებსა და კონფერენციებში მონაწილეობა.

ფასდაუდებელია არჩილ სარუხანიშვილის ღვაწლი ტექნიკური ინტელიგენციის წინაშე. მისი ამქვეყნიდან გასვლა დიდი დანაკლისია კოლეგების, მოწაფეებისა და ტექნიკური უნივერსიტეტისათვის.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი,
ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის მიმართულება,
სილიკატების ტექნოლოგიის მიმართულება.

ქართველი ქალი საქართველოს მოქალაქემ მოკლა?

ნეაპოლში საქართველოს მოქალაქემ, სავარაუდოდ, ქართველი ქალი მოკლა. 3-დღიანი ძებნის შემდეგ მოკლულს მეგობრის სახლში მიაკვლიეს. ცხედარს წამების კვალი ემჩნევა. პირველადი ინფორმაციით ქალი ჯერ აწამეს და შემდეგ მოკლეს. მან, სავარაუდოდ, მკვლელის სახლში ნახატი მიიტანა — დაკარგულია თანხა და საბუთები.

იტალიაში მცხოვრები ქართველების ინფორმაციით, სავარაუდოდ, მკვლელმა ქვეყანა უკვე დატოვა და ის საქართველოშია. „ქალი იყო ნაწამები და დაზიანებები ჰქონდა ტანსა და ხელებზე. ის ქალი მუშაობდა 24 სათიან სამსახურში ერთ-ერთ ოჯახში და კვირა საღამოს, რომ არ დაბრუნდა, ოჯახმა მოიკითხა. ნაპოლში არ ცხოვრობდა, ერთ-ერთთან მივიდა სტუმრად, ვისთვისაც მისი ნახატი უნდა მიეტანა. ვისთანაც სტუმრად იყო, ისაა ეჭვმიტანილი“. — აცხადებს იტალიაში მცხოვრები ნინო ლაფაჩიშვილი.

ხსოვნა

გამოთხოვება „სიცილის კარდიოგრამის“ ავტორთან ვაჟა ჭყონიასთან

კიდევ ერთი ღირსეული ქუთაისელი დაკლდა ჩვენს საერთო სამეგობროს, გარდაიცვალა კაცური კაცობითა და ხალასი იუმორით გამორჩეული ქუთაისის საპატიო მოქალაქე **ვაჟა ჭყონია**.

„ვაჟა ჭყონია“, ვაჟას კლასელი, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის, პროფესორ გივი მიზანდარის მეგობრული შარჟი.

დიდხანს და მძიმედ იყო ავად, მაგრამ ისე შეგხვდებოდა,ისე გესაუბრებოდა, თანაც ისეთი ხალისით იცინოდა, ისე გაცინებდა, თვალებში ისე შემოგციცინებდა, ვერ შეატყობდი, რომ ცალი თვალი არ ჰქონდა, თან ჯოჯოხეთური ტკივილები ტანჯავდა. ამ 5 წლის წინათ, მისი 80 წლისთავის დღეებში ამიტომ წერდა მისი ერთ-ერთი თაყვანისმცემელი: „**შენი ანგლობით შეთვრა და ბედი ვერ გაგიაფთარდა, თუმცა გებრძოდა ერთთავად, კუტუზოვივით ცალთვალას... ქუთაისლებს რომ უყვარხარ, მეც ამან ამიყოლია, გეხუმრე, რადგან მუხა ხარ, მუხა, რომელიც ჭყონია**“.

იგი ხალასი ქუთაისური იუმორის მართლაც რომ ნამდვილი მუხა იყო. აკი ამბობდა კიდეც ერთ-ერთ ინტერვიუში: „ჭყონი“ , მეგრულად, ანუ იმ ენაზე, გურიის გამოვლის შემდეგ იმერულით რომ ჩაანაცვლეს ძირძველ ქუთაისლებად ქცეულმა ჩემმა წინაპრებმა, ქართულად „მუხას“ ნიშნავს და, ეტყობა, მუხნარის აგარაკზე ერთხანს ამიტომ გამიშვეს სამუშაოდო.

„ვაჟა ჭყონია ქუთაისელთა სულის გამოვლენაა, ღიმილია,სიხარულია, ერთგულებაა, მეგობრობაა, ჭირსა და ლხინში თანადგომაა“, — ასე ახასიათებდნენ იმ დღეებში, როცა თანამოაზრეებთან ერთად იპოლიტე ხვიჩიას სახელობის იუმორის ეროვნულ აკადემიას აფუძნებდა. ამ აკადემიის მიერ გამოცემული პირველი იუმორისტული წიგნის — „სიცილის კარდიოგრამის“ ავტორიც ვაჟა გახლავთ, იმ წიგნისა, რომელმაც, როგორც ერთ-ერთი რეცენზენტი წერდა: „სიცილის კარდიოგრამა“ უკვე გადაგვიღო და ახლა ჩვენს გულსა და სულს მკურნალობს, რომ ცხოვრება გაგვიხალისოს“.

* * *

სოლომონ ბრძენივით ბრძენი და მასავით ისრაელის ერთ-ერთი მეფე, სოლომონ ბრძენის ნახევარძმა კოჰელეთი ბრძანებდა: „კარგი სახელი სჯობია კარგ ნელსაცხებელს და სიკვდილის დღე დაბადების დღეს“. ფაქტობრივად სხვა ფორმით, მაგრამ იგივეს ამბობს ვაჟაფშაველა, როდესაც სიკვდილს მიმართავს, „ღმერთმა გიშველოს სიკვდილო, სიცოცხლე ფასობს შენითა!“

სწორედ ეს დაფასებული სიცოცხლე რჩება ნუგეშად ჩვენი მეგობრის საყვარელ ოჯახს, თითოეულ ჩვენგანს და მისი იუმორის უამრავ თაყვანისმცემელს, რამეთუ კარგი სახელი, რომელიც იმიერ საქართველოში წასვლამდე ჩვენში დატოვა, ნამდვილად სჯობს ყველაზე საუკეთესო ნელსაცხებელს!

სპარტაკ ქობულია, ბენია თხილავა, ალეკო ბაძგარაძე, გურამ გვენცაძე, ირმა ქურასბედიანი, თემურ ძიძიგური, ანრი ყრუაშვილი, თემურ შაშიაშვილი, ალექსანდრე შენგელია

ანზორ ბურჯანაძე ოჯახით მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქალაქ ქუთაისის საპატიო მოქალაქე, ქალაქის კოლორიტი

ვაჟა ჭყონია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ავთანდილ და ნანა წერეთლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ჟურნალისტისა და ტელეწამყვანის

ლევან ჩხაიძის

გარდაცვალების გამო. უსამძიმრებენ ოჯახს, ტელეკომპანია პირველის გუნდს და მეგობრებს. ეს არის უდიდესი დანაკლისი ყველა ჩვენგანისთვის.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას კიდევ ერთხელ გამოხატავენ „TV პირველის“ წამყვანისა და ცნობილი ჟურნალისტის

ლევან ჩხაიძის

გარდაცვალების გამო და მთელი სულითა და გულით უსამძიმრებენ ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და ახლობლებს.

მურად ჭოლოკავა ოჯახით მწუხარებით იუწყება დისწულის

ვახტანგ ნუგზარის ძე ენდელაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და სამეგობროს.

რედაქცია
„საქართველოს რესპუბლიკაში“
კოსტავას ქ. №21.
599 79-76-79;
568 82-09-84

სანთელი

წინ სიყვარული მიუძღვის

ეძღვნება ლევან (ლეო) ქაჯაიას ხსოვნას

სასუფევლის გზას ძველ ახალ წელს, 14 იანვარს შეუდგა. უკან დარჩა ამქვეყნიური ცხოვრება, შრომა, ჯაფა, უზადო პროფესიონალიზმით ნაკეთები საქმეები, ფიქრი ოჯახზე, მეგობრებზე, ნაცნობებსა და უცნობებზე.

ცნობილი პედაგოგის, მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის ვარლამ ქაჯაიას ერთადერთ ვაჟს ლეოს, როგორც მას ყველა მიმართავდა, თავიდანვე დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრა — ღირსეული მამის ღირსეული შვილი უნდა ყოფილიყო. ამ შეგნებით იცხოვრა. პროფესიით ფილოლოგმა, დედაუნივერსიტეტის აღზრდილმა, ძირითადად საგამომცემლო საქმესა და პოლიგრაფიას შესწირა მთელი შეგნებული ცხოვრება, თუმცა, პედაგოგიკაშიც თავისი სიტყვა თქვა.

პირველი ნაბიჯები პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობაში გადადგა. მერე იყო პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამომცემლობა, გზა რედაქტორობიდან დირექტორობამდე, გამომცემლობები — „საბჭოთა საქართველო“ და „განათლება“, სადაც საწარმოო დარგს წარმართავდა, როგორც დირექტორის მოადგილე. ხელმძღვანელობდა ისეთ მსხვილ პოლიგრაფიულ საწარმოებს, როგორიც იყო №4 სტამბა და თბილისის ფერადი ბეჭდვის სტამბა. ეს არასრული ნუსხაა. ერთი საგაზეთო წერილი ვერ მოიცავს მრავალ ათეულ წელს, რომელიც მიეძღვნა ჟურნალისტურ, საგამომცემლო და სარედაქციო მუშაობას. მისი რედაქტორობით გამოიცა უამრავი წიგნი.

იყო კიდევ ერთი დიდი საქმე, რომელსაც განსაკუთრებული გრძნობითა და მონდომებით, დიდი სიყვარულით აკეთებდა — მამის, ვარლამ ქაჯაიას, არქივის დამუშავება-გამოქვეყნება. მან შეადგინა და გამოსცა ვარლამ ქაჯაიას „წერილები“ (1974), „მარად ცოცხალი მემკვიდრეობა“ (1990). მოგონებათა კრებულს „ხსოვნა ნათელი კაცისა“ დაურთო გამოქვეყნებული ნაშრომების ბიბლიოგრაფია და მისი რედაქტორობით დაბეჭდილი ლიტერატურის სია. ვარლამ ქაჯაიას დაბადებიდან მე-100 წლისთავს მიუძღვნა წიგნი „ვარლამ ქაჯაია-100“. 2016 წელს შეადგინა და გამოსცა კრებული „ელვარე ნიჭის მეცნიერი“, რომელშიც თავმოყრილია მეცნიერების, პედაგოგების, მწერლების, ჟურნალისტების რეცენზიები და წერილები ვარლამ ქაჯაიას მოღვაწეობაზე, მის პიროვნულ ღირსებებზე.

მამის საქმეს ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში დაუკავშირდა, როცა პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დავალებით 1954-55 წლებში შეადგინა პირთა საძიებლები იაკობ გოგებაშვილის თხზულებათა ათტომეულის მესამე და მეოთხე ტომებისთვის.

იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 150-ე წლისთავის აღსანიშნავად გამომცემლობა „განათლებამ“ 1989-1990 წლებში გამოსცა დიდი პედაგოგის თხზულებანი ხუთ ტომად. ლეო ქაჯაია იყო ამ ტომების ერთ-ერთი შემდგენელი. მანვე გამოსცა 1990 წელს იაკობ გოგებაშვილის ნაშრომი „სიმართლე თბილისის შესახებ“, შენიშვნებით და კომენტარებით, რომლებიც ხსნიან მიზეზებს, რის გამოც ეს საყურადღებო ნაშრომი ვერ შევიდა ათტომეულში.

ლევან ქაჯაია იყო კულტურის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი. გვახსოვს, როგორ გაახარა ამ ბოლო ფაქტმა. მას ხომ მემკვიდრეობით გადაეცა დიდ პედაგოგთან დაკავშირებული წმიდათაწმიდა საქმის გულმხურვალე მსახური ყოფილიყო.

...ახალგაზრდობიდანვე გაჭაღარავდა, საოცარი ნათელი დაადგა, სიყვარულმა გაანათა. მას უყვარდა ყველა და ყველას უყვარდა ის — ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებს, კოლეგებს, თანამშრომლებს... ის ხომ სითბოსა და სიკეთეს აფრქვევდა, გასცემდა და იღებდა. სწორედ ეს ზღვა სიყვარული მიუძღვის ახლა მას წინ ჯერ უცნობი ცხოვრებისკენ. მიდის და თან მიაქვს ჩვენი ახალგაზრდობის, ჭარმაგობისა და სიბერის დაუვიწყარი დღეები, ჩვენთვის ძვირფასია მასთან გატარებული ყოველი წუთი. ძალიან დაგვაკლდება მისი ომახიანი, ვაჟკაცური ხმა და იმედიანი სიტყვა.

მსუბუქი და ნათელი ყოფილიყოს მისი გზა!

გივი ბოჯგუა,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;
ოთარ ბაძანიძე,
პროფესორი, საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის პრეზიდენტი;
რევაზ კვერენჩხილაძე,
ლიტერატორი.

რუსეთის პატრიარქი კირილი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პროფესორი ვერ გახდება

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი რუსეთის პატრიარქ კირილს (გუნდიაევს) და ფედერაციის საბჭოს სპიკერს ვალენტინ მატვიენკოს „რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პროფესორის“ წოდებას არ მიანიჭებს.

ამის შესახებ რადიო „თავისუფლებას“ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა იური ბალეგამ განუცხადა. ამის მიზეზი გახდა აკადემიკოსებისა და მეცნიერების აღშფოთება, რომელიც პატრიარქისა და ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარისთვის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას მოჰყვა. საპატიო წოდების მინიჭების შესახებ ინფორმაცია 18 იანვარს გავრცელდა. მაშინ აკადემიაში განაცხადეს, რომ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაური მეცნიერების დიდი პოპულიარიზატორია და მეგობრობს ფიზიკოს სერგეი კაპიცასთან.

2010 წელს პატრიარქი კირილი ბირთვული კვლევითი ეროვნული უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი გახდა, სადაც 2012 წელს თეოლოგიის კათედრა შეიქმნა. ის რამდენიმე სასწავლო დაწესებულებაში საპატიო დოქტორი ან პროფესორია, მათ შორის პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის, სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების სამხედრო აკადემიისა და დნეპრის ეროვნული უნივერსიტეტის. კირილს დამთავრებული აქვს ლენინგრადის სასულიერო აკადემია, ის ამავე აკადემიას 10 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა.

ბოინგი ტურისტების მისაზიდად

ბაჰრეინის სამეფოში დაივერებისათვის 100 000 კვ/მ-ზე გადაჭიმული თემატური პარკი გაიხსნება. პარკის მთავარი ექსპოზიცია ჩაძირული, მსოფლიოში ყველაზე დიდი საფრენი აპარატი – Boeing 747-ია. დაივინგის მოყვარულებს პარკში ასევე დახვდებათ ხელოვნური რიფები, სპეციალური სკულპტურები, ბაჰრეინის მარგალიტების რეწვის ადგილები და ა.შ.

სამეფოში იმედი აქვთ, ახალი თემატური პარკით დამატებითი ტურისტების მოზიდვას შეძლებენ. პარკის გახსნა 2019 წლის შემოდგომისთვისაა დაგეგმილი. აღსანიშნავია, რომ ბაჰრეინის სამეფოს ყოველწლიურად 8 მლნ ტურისტი აკითხავს.

რეკორდული რაოდენობის კერძო თვითმფრინავები...

დავოსში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი მიმდინარეობს, რომლის ერთ-ერთი თემაც კლიმატის გლობალური ცვლილებაა. პარადოქსია, რომ წელს დავოსში ფორუმზე დასასწრებად დელეგატები რეკორდული რაოდენობის ბიზნესჯეტებით ჩავიდნენ, წერს The Guardian-ი.

როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ამ წელს ფორუმის ფარგლებში დელეგატები მთლიანობაში 1500-ზე მეტი კერძო თვითმფრინავით ისარგებლებენ, ეს იმ ფონზე, როდესაც გასულ წელს მათ მთლიანობაში 1300 თვითმფრინავით ისარგებლეს. რაც გასულ წელს რეკორდულ მაჩვენებლად შეფასდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დავოსის სტუმრები უფრო ხშირად იყენებენ კერძო თვითმფრინავების ისეთ მოდელებს, როგორებიცაა Gulfstream GV და Bombardier Global Express. ქვეყნები კი, რომლებიც ბოლო 5 წლის განმავლობაში ამ ტიპის თვითმფრინავებით უფრო ხშირად სარგებლობენ არიან: გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი და არაბეთის გაერთიანებული საემიროები.

მოგზაურობა გიყვარს?.. თანხა გადაიხადე!

ესპანეთის შემდეგ საფრანგეთმა ქვეყანაში მოგზაურობის მსურველებისთვის დღიურად გათვალისწინებული სახარჯი თანხის მოცულობა გაზარდა. საფრანგეთის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, დღიური ხარჯი საფრანგეთის ტერიტორიაზე განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

მოწვევის ფლობის დროს – 33 ევრო;

სასტუმროს ჯავშნის ფლობის დროს – 65 ევრო;

თუ პირი არ ფლობს არც მოწვევას და არც სასტუმროს წინასწარ გადახდილ ჯავშანს – 120 ევრო;

საფრანგეთის საელჩოში ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებენ და აღნიშნულთან დაკავშირებით, ინფორმაციას მოგვიანებით გაავრცელებენ.

რაც შეეხება ესპანეთს, მან აღნიშნული თანხა პირველი იანვრიდან გაზარდა. პირველი იანვრიდან, როგორც ესპანეთის სხვა ქალაქებში ასევე ბარსელონის აეროპორტშიც ტურისტმა უნდა წარადგინოს დღიური სამყოფი თანხა – 90 ევრო. საყურადღებოა, რომ საკრედიტო ბარათზე ფულის არსებობა მგზავრს არ ეთვლება, რადგან მათ ადგილზე მგზავრის საბანკო ბარათზე წვდომა არ აქვთ.

ნიუ-იორკში მასშტაბური ტერაქტი აღკვეთილია!

ნიუ-იორკის შტატის პოლიციამ 4 პირი დააკავა, რომლებიც მუსლიმურ დასახლებაში ტერაქტს გეგმავდნენ. დაკავებულები ამერიკის მოქალაქეები არიან და მათი ასაკი 16-დან 20 წლამდეა. ოთხივე მათგანს ბრალად ედება იარაღის უკანონო ტარება და ტერორისტული აქტის მომზადების მცდელობა.

ტელეკომპანია WHEC-ის ინფორმაციით, პოლიციამ მათ ასაფეთქებელი მოწყობილობა უპოვა. გამომძიებლები ვარაუდობენ, რომ ისინი ტერაქტის მოწყობას ნიუ-იორკის შტატის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ ტომპკინსის ერთ-ერთ კვარტალში აპირებდნენ.

გარეუბანში, რომელიც უფრო მეტად ცნობილია სახელით ისლამბერგი, რამდენიმე ათეული სახლია, სადაც ისლამის მიმდევარი აფროამერიკელები ცხოვრობენ. 4 პირის დაკავება შაბათ-კვირას მოხდა, გუშინ ისინი სასამართლოს წინაშე წარდგნენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6611; ევრო - 3.0233;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4211
100 რუბლი - 3.9996; თურქული ლირა - 0.4983;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5650;
1000 სომხური დრამი - 5.4981.

ამინდი 24 იანვრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -4, დღე +12
მთიანი რაიონები - ღამე -10, დღე +8
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +3, დღე +17
მთიანი რაიონები - ღამე -5, დღე +13
თბილისი: ღამე -1, დღე +10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge